

### ლალი გვასალია

დაიბადა ქუთაისში. დაამთავრა ქუთაისის რკინიგზის მე-12 საშუალო სკოლა და მელიტონ ბალანჩივაძის სახელობის პირველი მუსიკალური სასწავლებელი წარჩინებით.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში და-ეუფლა უურნალისტის პროფესიას. ჩაირიცხა ფილო-სოფის ფაკულტეტის ესთეტიკის კათედრის ასპი-რანტურაში.

ბოლო წლის ასპირანტმა მუშაობა დაიწყო თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის უცხო ენათა სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ფილოსო-ფიის კათედრაზე.

დღემდე ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის კულტუროლოგიის მიმართულების პროფესორია.

ჰყავს მეულლე და ორი შვილი: ჩიორა და დაჩი თაქთაქიშვილები და ერთი (ჯერ-ჯერობით!) შვილი-შვილი - ლუკინო თაქთაქიშვილი.

სიცილის სამედი

ოლსოტავურის გამზირზე

ლალი გვასალია

სიცილის სტეფან  
როსთერუელის გამზირზე

7A8.9  
75.575  
გ.015

ვუძღვნი ჩემ ერთადერთ, უსაყვარლეს ძმას – ლერი  
გვასალიას და მის მეგობრებს: ზაურ თავიდაშვილს, გი-  
გლა ჭანუყვაძეს, შოთა ჯიშვარიანს, მიშა მარჯანიშვილსა  
და სხვებს.

ISBN 978-9941-0-4504-2

© ლ. გვასალია

გამომცემლობა  
„საქართველოს ვეტერან მორაგბეთა კავშირი“  
20 თბილისი 12

## ავტორის მინათება

ძელი ბერძნების თქმისა არ იყოს, ადამიანი, როგორც  
უნდა ეცადოს, ბედისწერას ვერ აცდება.

ჩემი „ბედისწერა“ კი ის გახლდათ, რომ წინა საუკუ-  
ნეში და წინა „საზოგადოებრივ-ეკონომიკურ ფორმაცია-  
ში“ წილად მხვდა ფუფუნება, – დახვეწილი, ნატიფი ქა-  
რთული იუმორის უმაღლესი პილოტაჟის მასტერკლასები  
გამევლო ნოდარ დუმბაძის, ზაურ ბოლქვაძის, გიზმ ნიშ-  
ნიანიძის, გარი მეტრეველის, გივი სამსონაძის, ოთარ სა-  
დრაძის, ნოდარ მალაზონიას, გიგლა ფირცხალავას, ჯე-  
მალ ლოლუას საზოგადოებაში და „ნიანგის“ ბიბლიოთეკის  
სერიით იუმორისტული მოთხრობების პატარა კრებული  
გამომეცა.

მას შემდეგ, დიდი დრო გავიდა...

სწორედ ზემოთხსენებული ქართული იუმორის კო-  
რიფების მონატრებამ მომაქებნინა და უცვლელი სახით,  
მეორედ გამომაცემინა ეს წიგნი, რომელსაც ქვია „რაფ-  
სოდია ტრომბონისათვის“, რომელიც დღეს თქვენს ხელ-  
თაა და რომელსაც ვუძღვი თითოეული მათგანის ნათელ  
ხსოვნას!.. ერთი ბედნიერი გამონაკლისის გარდა. ჩემდა  
სასიხარულოდ, ბატონი ნოდარ მალაზონია ელოდება ჩემი  
იუმორისტული მოთხრობების ამ კრებულს. მე მას მინდა  
ხანგრძლივი და ჯანსაღი სიცოცხლე ვუსურვო. მაღალი  
ღირსების მქონე პროფესიონალმა მხატვარმა თავისი  
ცხოვრების მშვენიერი წლები უურნალ „ნიანგის“ რე-  
დაქციაში გაატარა დანარჩენ ნიანგელებთან ერთად. იგი  
„სიცილის სამეფოს“ ერთ-ერთი კაშაშა ვარსკვლავია.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის უურნალი-  
სტიკის ფაკულტეტის მეოთხეკურსელი, 19-ოდე წლის

გოგონა, პრაქტიკის გასავლელად, სწორედ სატირულ-იუ-  
მორისტულ ჟურნალ „ნიანგში“ გამგზავნეს (გაგიკვირდ-  
ებათ, მაგრამ...) ამ ჟურნალის რედაქტორის, ბატონ ნო-  
დარ დუმბაძის თხოვნით. ძნელად დასაჯერებელ ამბებს  
მტკიცებულებების გარეშე არ შემოგთავაზებთ! ამიტომ  
ჩემ ნინათქმას აქვე დავურთავ ნოდარ დუმბაძის ძალიან  
სერიოზულ (და არა იუმორისტულ) მიმართვას თსუ-ს ჟუ-  
რნალისტიკის კათედრის გამგის, ბატონ დავით გამეზარ-  
დაშვილისადმი.



საბირეა და იუმორის უზრუნველყო. საკ. პ. ვერდენალური კომიტეტის გამოცემლობა  
**НИАНГИ.** САТИРИКО-ЮМОРІСТІЧЕСКИЙ ЖУРНАЛ. ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ  
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 42. ტელეფონი № 3-10-78.

თბილისი, პრ. რუსთაველი № 42. ტელეფონი № 3-10-78.

№ 10

9 მარტი 1967 წ. გ. 2.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფუნდაციის კურსერის გამგებელი - პროფესორ გამებარეაშვილი

ფუნდი "ნიანგის" ჩედების გონიერ, ფუნდაციის განყოფილების საჭირო და ეფუძნები დარი ეგნაფეს ასევე გ ა ს ა რ ი ა გამოაგრძავნოთ ჩენოან პრაქტიკაზე.

ფუნდი "ნიანგის" მთავარი

ჩედების:

15. გ უ მ ბ ა ძ ე ვ ।

ამ მიმართვის საფუძველი გახდა ჩემი ერთ-ერთი იუ-  
მორისტული მოთხოვნა, რომელიც შიშით და გულისხეთ-

ქვით მივუტანე ბატონ ნოდარს და ხელის კანკალით გა-  
დავეცი „ნიანგში“ გამოსაქვეყნებლად.

დღემდე მიკვირს, მაგრამ ეს მოთხოვბა დაიბეჭდა...  
პრაქტიკაც (ჩემი თანაკურსელებისაგან განსხვავებით)  
ამ სატირულ-იუმორისტულ ჟურნალ „ნიანგში“ გავიარე.  
აქვე წარმოგიდგენთ სერიოზული ხალხის (ამავდროულად,  
ქართული იუმორის კორიფეების): ნოდარ დუმბაძისა და  
პასუხისმგებელი მდივნის – ზაურ ბოლქვაძის ხელმოწ-  
ერილ სერიოზულ დახასიათებასაც.

ჩემთვის ძალიან ძვირფასია ბატონ ზაურ ბოლქვაძის  
ხელით ნაწერი ჩემი დახასიათების ჩასწორებული ტექს-  
ტი, რომლის დედანსაც სათუთად ვინახავ ჩემს არქივში,  
ხოლო ასლს მკითხველს ვთავაზობ.

ბატონი ზაურის ხელნაწერ დახასიათებას მოყვება  
მისივე იუმორით გაჯერებული „ბრძანება №1 – „ნიან-  
გის“ რედაქციისადმი“, ჩემი „დანიშვნის“ თაობაზე ჟურ-  
ნალ „ნიანგის“ განყოფილების გამგედ, ბატონ გიგა მახ-  
ვილაძის „რეზოლუციით“.

ასეთი გახლდათ „ნიანგის“ რედაქცია, რუსთაველის  
გამზირის №42-ში, რომელსაც მე „სიცილის სამეფო“  
ტყუილად როდი შევარქვი. ამ „სამეფოს“ უცვლელი მეფე  
და ქართული იუმორის ყველაზე კაშაშა ვარსკვლავი ბა-  
ტონი ნოდარ დუმბაძე გახლდათ თავისი „ნაზირ-ვეზირე-  
ბით“, – სხვადასხვა ზომისა და წონის იუმორისტებით,  
ანუ, აგრეთვე ვარსკვლავებით, ერთმანეთს ტოლს რომ  
არ უდებდნენ თავიანთებურ კაშკაშში.

პრაქტიკაზე – მარტიდან ივლისამდე იმდენი ვიცინე და  
სერიოზულადაც იმდენი ვიფიქრე კომიკურსა და სიცილზე  
(სადიპლომო ნაშრომიც ამ თემაზე დავიცავი პროფესორ  
ნოდარ ტაბიძის ხელმძღვანელობით), რომ დახასიათება-

რეკომენდაციაც მივიღე პროფესორ დავით გამეზარდაშვილისაგან – ასპირანტურაში შესასვლელად. ამას მოყვა თსუ-ს სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარის, პროფესორ მათე მირიანაშვილის ხელმოწერილი რეკომენდაცია, რამაც მარგუნა (რასაკვირველია, ოთხ კონკურსანტთან ერთად მისაღები გამოცდების ჩაბარებისა და ამ კონკურსში გამარჯვების შემდეგ) ასპირანტობა, აკადემიკოს გიორგი ჯიბლაძის ხელმძღვანელობით.

P.S. იუმორისტული მოთხოვების ამ პატარა წიგნის პირველ ნაწილს უცვლელად ვაქვეყნებ; მეორე ნაწილში კი გთავაზობთ პაროდიის სამ თანამედროვე ნაირსახეობას სალექსო ფორმით; ხოლო წრე იკვრება ყველაფრის დამაგვირგვინებელი ხელშეკრულებით – ჩემსა და „ნიანგის“ რედაქტორ ნოდარ დუმბაძეს შორის, რამაც გზადამილოცა თქვენთან მოსასვლელად.

თქვენს წინაშეა წიგნი წიგნში, ანუ „სიცილის სამეცოში რუსთაველის გამზირზე“ მოთავსებული ჩემი იუმორისტული მოთხოვების კრებული – „რაფსოდია ტრომბონისათვის“ უცვლელად.

გაინტერესებთ, რაზე ეცინებოდათ გასული საუკუნის 70-იან წლებში? წაიკითხეთ! იქნებ თქვენც გაგეცინოთ!

ფილოსოფიის დოქტორი,  
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის  
კულტუროლოგიის მიმართულების პროფესორი  
**ლალი გვასალია**  
2012 წლის ივლისი

# • მარტი •

საბირისა და იუმორის ჟურნალი. საკ. № 43 ვებრაული ქონიშვილის გამოცხადობა  
НИАПИ. САТИРИКО-ЮМОРISTИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ. ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ  
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 42. ტელეფონი № 3-10-78.

თბილისი, პრ. რუსთაველი № 42. ტელ. 3-10-78.

№ —————

„28“ აგვისტი 1967 წ. 2.

გ ა ბ ა ხ ი ბ თ ე ბ ა

თბირისის სახელმწიფო უნივერსიტეტის უზრუნველყოფის განვითარების  
IV კურსის სამუშაო დარი ეგნაფის ასევე გვახდით 1967 წელს ვ მას-  
ხვები 1 ივლისამდე პრაქტიკა გაითარ უზრაც "ნიანგის" ჩეგაქცევაში.

დღი გვახდით თავი გამოიჩინა, როგორც ნიჭიერება უზრუნველყობა  
და იუმორის მნიშვნელოვანი პროფესია მან გამოიწვევა სამარცხება  
მასამდება — უზრუნველყობა, ისე მოვალ / იუმორის მომსახური / მოთხოვა, წეს /,  
უკანასკნელი სამარცხელი / წეს /, "ნიანგის ილი უნივერსიტეტი" / წეს /, "პრინ-  
ციპრი კირის უდიუქვა" / კუთხის მომსახური / მოთხოვა, წეს /, "ნიანგის პრეს-  
ფერენციალი" / წეს / და სხვ. მისი ნამდვიმე ნანართები მონარქურია "ნია-  
ნგის" მომდევნო წმმენდით გამოიხატებოდა.

დარი გვახდით სამუშაო და უზრუნველყობა და უზრუნველყობა და უზრუნველყობა  
მოამზადა ბევრი მხატველი და კრიტიკები — მამისი მოვალი მასამდება, საფუძველია-  
ნარ გაუყორ სანერატივო და სახელმწირ საქმიანობას, ვამოამზადა ქართუ-  
ლი რის კანკი მოინა, დაქიმი მხატველი გვემოვნება, ღიღი მრიმისმოვა-  
ჩეობა.

დარი გვახდით კონკრეტული პირები, კონკრეტული ინიციატივი, მაღა-  
ჟილის განვითარება მამისი მოვალი და უზრუნველყობა მასამდება, საფუძველია-  
ნარ გაუყორ სანერატივო და სახელმწირ საქმიანობას, ვამოამზადა ქართუ-  
ლი რის კანკი მოინა, დაქიმი მხატველი გვემოვნება, ღიღი მრიმისმოვა-  
ჩეობა.

დახახვდეთ ა დარი თბირისის სახელმწიფო უნივერსიტეტის უზრუნველყობის უზრუნ-  
ველყონის კათეგორია ნანართები.

უზრუნველყონის მთავარი ჩეგაქცევა:

უზრუნველყონის მთავარი ჩეგაქცევა:

მდგრადი:

2 probabilities

一一

Հ տօնութեան ամիս 25-ը մայիսի 1967 թվական  
Ծառ շնորհացած ցանք Խ շնորհացած կազմութեան  
բարձրագույն պատուի վեհականութեան կողմէն  
1967 թվականի մայիս ամիսի 25-ը մայիսի 1967 թվական

Հ լուրս ձեւացնելու օրը զտականի, կյանք  
եւ շնորհած դրանց վերաբեր ու ուղարկեց Տէղիս-  
շա. Ժամանակ պահանջանակ գովազդա առնելոյ-  
իլու ամերիկա - "կոյսու ելոյ, ո՞յ անու" (այսու-  
հաջոյն առաջին, N12), "Տեսացն եռոցի" (N12),  
"Եռոցու ըստ շենքու" (N13), "Եռունու  
չուռու քենցարդուս" (N13), "Եռունու  
Եռունու" (այսուհետեւ առաջին, N14),  
Եռունու Տիկ-Յանցիկուս" (N14) (Առաջին՝  
Եռունու Եռունու Յանցիկուս" առաջին,

Հոգոված եռական քառորդի 31469 թվով.  
Հ բար զնված կառուցման համար  
Ու պահպան առաջիկ առաջար է առաջար  
Ճեղական Ու շնորհական-առաջար է առաջար  
Ճեղական 103 մետրով Յաջու 141 մետրով  
Ու Ու լայնու ափամուս, քառական  
Ժամանակը 10 ան է առաջար ու առաջար  
Քառական առաջար ու առաջար է առաջար  
Առաջար առաջար ու առաջար.

Հ բար զնված պահպան տեսար 10,  
31469 թվով, պահպան առաջար  
10 ան է առաջար ու առաջար  
Կառական առաջար ու առաջար է առաջար  
10 ան է առաջար ու առաջար.

~~Հ պահպան առաջար է առաջար~~  
~~10 ան է առաջար ու առաջար~~  
Հ պահպան առաջար է առաջար  
10 ան է առաջար ու առաջար  
Կառական առաջար ու առաջար է առաջար  
10 ան է առաջար ու առաջար.

103) 76587120 շվամբ "Ա 111  
671120 ջեղութեա! " արդյունք,  
ողարք, " 7/30 սպահի 1561320  
առ ուղարք սպահի 1561320

2 ըստուածքի 1561320 յանուան 1561320  
ուղարք արդյունք առ ուղարք 1561320

2 ԿԿԿ 7 " 6 ազ 10 ամ կամ կամ

ԿԿԿ 7 " 6 ազ 10 ամ կամ կամ  
1561320 յանուան 1561320  
1561320, 29/VI

Родыги №1

"Богдан" Краснодарский край

Родыги Томич Сурин 23.07.1976 г.

Озубрежи Михайловский  
Заводской р-н 20220 3/5.  
Четвертаково.

"Богдан" 2/3. 20.3.63  
Зимб-Баланда

01.03.63 3/5  
Мамадо 31(?) 2/5.0 4/5  
Джон 20.03.?? 2/5  
2/3

ხელშეკრულება № 1

(აღმოჩენა, შპს „გატვირთან“)

ქ. თბილისი, 4 „ მთაწმინდა „ 1974 წ.

ეცრი „ნიანგის“ რედაქცია შესრულებული

შოთა რეზონის რედაქტორის ნიანგის უძრავი მიზანის დე კუმანის

სახით

და შეორე მხრივ ამ. დარი უკანას უკანას გადასახის

ვდებთ ურთიერთშორის შემსრულებელის სტატუსის და ნაშრომი წარუ-

დგინდონ გამომცემის ავალის ამ. ლეი-გუნდერის „ნიანგის“ პიპლიურების მიზანის

ნიანგის გადასახის უკანას უკანას გადასახის მს ნა შეფრთ ფუნქცია

2. ამ. ლეი-გუნდერის გალლებულია დაკისრებული სამუშაო დამთავროს და ნაშრომი წარუ-  
დგინდონ გამომცემის 1974 წ. მიზანის მიზანი

3. დასხიერებული ნაშრომის მოცულობა შეადგინა არა უმიტეს 100 / 12 / საეტორო თაბა-  
ხისა (საეტორო თაბახი 40000 სასტაციო ნიშანი).

მოქმედი

4. ამ. ლეი-გუნდერის დაკისრებული სამუშაო შესრულებისათვის საკუთრებული  
მიეცემა 600 ნახ. უკანას შენახვა (სიმართვა)

5. პონირარი ამ. დარი უკანას უკანას გადასახის მიეცემა შემდეგ ვადებში:

ა. ხელშეკრულების დადგინდის მოვლიდი კუთხით პონირარის 25%.

ბ. მული ნაშრომის წარმოლების შემდეგ 50%.

გ. დანარჩენი თანხა მიეცემა წიგნის გაერთიანების შემდეგ.

6. იმ შემთხვევაში, თუ ამ. ლეი-გუნდერის დაგაცემას ხელშეკრულებით  
გათვალისწინებულ ვადში არ წარმოადგენს, ანდა სამუშაო არაკეთილსარისხოვნი აღმინდება, ხელშეკრუ-  
ლება გაუშემდებულა იღველება და ამ. ლეი-გუნდერის ვალდებულია  
მიღებული ავანსის უკან დაბრუნოს.

მისამართი | ეცრი „ნიანგის“ რედაქტორი, მომილის, რესთაველის პროსპ. № 42  
ავტორის ან მხატვრის თანამდებობის, ხავადგინდება, 15

აღმოჩენის ან შაბატის პასპორტის № 11111111 - 1547502

ურთის რედაქტორი კუ

„ნიანგის მიმღების თანამდებობის“ რედაქტორი კუ

ავტორი, შპს „გატვირთან“ კუ

უფროსი რედაქტორი კუ

საგეგმო საფინანსო განყოფილების კუ

მთავარი ბუღალტერი კუ

იურისტის უფროსი კუ

၃၁၉ ၂ ၈၁၁၂၀၁

ခေခါခေခါခေခါခေခါခေခါခေခါခေ





## ამ ნიგნის თავითონობების

მინდა ჩემი თავი გაგაცნოთ, – იმ ფურცელზე დახატ-ული გოგო მე ვარ.

ყველამ კარგად იცით, რომ ქუთაისზე უკეთესი ქალაქი ჯერ დედამიწის ზურგზე არ აუშენებიათ, მაგრამ ამ ჭეშმარიტებას ერთხელ კიდევ მხოლოდ იმისთვის შე-გახსენებთ, რომ მე წილად მხვდა ბედნიერება, სწორედ ქუთაისში დავბადებულიყავი ნოემბრის ერთ ქარ-წვიმიან დღეს. საზეიმო განწყობილებას, რამდენადმე ჩრდილავ-და მამაჩემისა და ჩემი ძმის უკმაყოფილება, რომლებსაც უნდოდათ მე ბიჭი ვყოფილიყავი, მაგრამ წყენამ მალე გაუარათ და ორივეს ძალიან შეუუყვარდი.

გათვითცნობიერებულმა მკითხველმა, რასაკვირვე-ლია, ისიც კარგად იცის, რომ უფრო მხიარული ხალხი, ვიდრე ქუთაისშია, არსად ცხოვრობს. მათ ჩემი აღზრდა იკისრეს დაბადების პირველივე დღიდან. აღზრდა ხდე-ბოდა ყველგან: სახლში, ქუჩაში, სტადიონზე, ბაზარში, კინოში, თეატრში და რამდენადმე სკოლაშიც. 16 წლის ასაკამდე ჯერ კიდევ სადაც იყო (განსაკუთრებით ჩემი პედაგოგებისათვის), თუ რა უნდა გამოსულიყო ჩემგან, მაგრამ ერთმა შემთხვევამ საბოლოოდ გადაწყვიტა ჩემი მომავალი.

მეათე კლასში ვიყავი და მამასთან ერთად ქუჩაში მი-ვდიოდი. უეცრად რესტორნიდან ჩემი ქართული ლიტერ-ატურის მასწავლებელი გამოვიდა და მამაჩემს მიახალა: ამ ბავშვის სახლში დაწერილი საშინაო დავალება ჯერ არ მინახავს, არც კითხვა უყვარს მაინცდამაინც და რა უნდა გამოვიდეს ამისგანო. თუ ასეა, ბატონო ვარდენ, უეჭვე-ლად მწერალი გამოვაო – ნახევრად ხუმრობით უპასუხა

მამაჩემმა და ჩემთვის მომავლის საკითხიც გადაწყდა.

მამაჩემი თავისი ხუმრობის სამწუხარო შედეგს მხოლოდ მაშინ მიხვდა, როდესაც სკოლის დამთავრების შემდეგ, უნივერსიტეტის უურნალისტიკის ფაკულტეტზე შესვლა გადავწყვიტე, მაგრამ უკვე გვიანდა იყო.

ყველას ვეცოდებოდი. ჩემი ძმა რაიმე უხეიროს რომ წაიკითხავდა უურნალში ან გაზეთში, აღმტვოთებას იმით გამოხატავდა, რომ იტყოდა, ამისთანას ჩემი დაც კი დაწერსო და ისეთი თვალით გადმომხედვავდა, სხვა ჩემ ადგილას ეკონომიკის ან ბიოლოგიის ფაკულტეტზე გადავიდოდა.

მაგრამ მე მტკიცედ გადავწყვიტე ბოლომდე მიყოლა და ერთ წვიმიან დღეს „ნიანგის“ რედაქტორს, ბატონ ნოდარ დუმბაძეს მივუტანე პირველი იუმორისტული მოთხოვა. დაბეჭდვის სურვილი იმდენად დიდი მქონდა, სახე სრულიად შემცვლოდა. ალბათ ამიტომ შევეცოდე რედაქტორს და მითხრა: ახლა წადი, დამშვიდდი და ამ ერთ მოთხოვას როგორმე დაგიბეჭდავთო....

იმოდენა იყო პირველი მოთხოვა დაბეჭდვითა და პონორარის მიღებით გამოწვეული სიხარული, რომ სულ მალე მეორე, მესამე... მეექვსე მოთხოვაც მივიტანე რედაქციაში. პირველ ხანებში სითამამეს თავხედობად მითვლიდნენ, თავხედობას სითამამედ, მაგრამ მოთხოვა ბი იბეჭდებოდა... ახლა უკვე აღარ უკვირთ რედაქციაში ჩემი სიარული და გულგრილად მეუბნებიან: ამ ნომერში ვერ ვასწრებთ, შემდეგი ნომერი გადატვირთულია, მაგრამ იმის შემდეგ ნომერში უეჭველად დავბეჭდავთ შენს მოთხოვას ისე, რომ შენი მოსვლა საჭირო აღარ იქნებაო... ერთი სიტყვით, ისე მექცევიან, როგორც წამდვილ მწერალს. ბოლოსდაბოლოს ჩემი მიზანიც ხომ ეს იყო?!

ეს ჩემი პირველი წიგნია. მასში დაბეჭდილი მოთხოვნების გმირები ცოცხალი ადამიანებია, მე მათ ყველას ვიცნობ: ზოგს ხელის ჩამორთმევით, ზოგს უბრალოდ სალმით, ზოგსაც მხოლოდ შორიდან. ისინი ყველანი კარგები არიან. მერე რა, რომ ზოგჯერ სასაცილო მდგომარეობაში ვარდებიან? მე ისინი მაინც ყველა მიყვარს და თუ მათ სასაცილო მდგომარეობას აღვწერ, ისევ მათი სიყვარულით. აკი ლუდვიგ ტიკი ამბობდა: „საყვარელ საგანს მაშინ ფლობ ნამდვილად, როდესაც მასში სასაცილოს აღმოაჩენო“.

შეიძლება, სათქმელი ისე კარგად ვერ ვთქვი, როგორც მინდოდა. წიგნის რედაქტორმაც ხომ გამაფრთხილა: არაფერს გისწორებ, პირდაპირ ხახაში მიგცემ მკითხველს და რაც უნდათ, ის გიყონო. მე კი ჩემ მაღალი გემოვნების მკითხველს ვთხოვ, ნუ იქნება ჩემ მიმართ ძალიან მკაცრი. პოეტის თქმისა არ იყოს, „ნუ შემაჩერებთ ნახევარ გზაში, მაღალ მწვერვალზე მაცალეთ ასვლა“. ეს ხომ ჩემი პირველი წიგნია და მე ხომ მხოლოდ 21 წლისა ვარ!..

### ლალი გვასალია

P.S. დიახ, მაშინ, როცა გულუბრყვილოდ მჯეროდა, წიგნს დაწერისთანავე გამოსცემდნენ, მართლაც 21 წლის გახლდით. მაგრამ ეს ასე არ მოხდა. ჯერ ახალგაზრდაა, მოიცდისო, – ფიქრობდნენ რედაქციაში. მეც, რა გზა მქონდა – ვიცდიდი. მაგრამ ამ ცდაში იმდენი ვწერე და ვიკითხე, რომ უნივერსიტეტის ასპირანტურაშიც შევედი... ახლა, მოგეცათ ლხენა, მე საწერი და საკითხავი მაქვს. თუ გავითვალისწინებთ, რომ ფილოსოფიის ისტორია ჩასაბარებელია, დისერტაცია დასაწერი, ხოლო შემ-

დეგ დასაცავი, ალბათ მიხვდებით, მთლად სახუმაროდ არ უნდა მქონდეს საქმე, მაგრამ რას იზამ, კაცნი ვართ და...

– ბოლოსდაბოლოს გამომიცემთ თუ არა წიგნს? – კატეგორიულად მოვთხოვე ამას წინათ „ნიანგის“ რედაქტორს.

იგი კრებულის რედაქტორს მიუპრუნდა და იკითხა, – საერთოდ თუ არის წარმოდგენილი ამ ავტორის წიგნიო.

– წარმოდგენით, ბატონო, მაშინ წარმოადგინა, როცა წერა ჯერ კიდევ არ ჰქონდა დაწყებული.

– რამდენ ხანს იდო მაგის წიგნი უჯრაში?

– სამი წელიწადი!

– აბა ყველა პირობა დაკმაყოფილებული ყოფილა...

და აი, ძვირფასო მკითხველო, ჩემი პირველი წიგნი თქვენს ხელთაა.

## შიგის საზღაური

შაქარზე დასეულ ჭიანჭველებივით ირეოდა ხალხი... ის იყო, სანდრომ და მისმა მეუღლემ ფეხი შემოდგეს ოთახში, რომ ერთმა შავოსანმა ქალმა მოზომილად დაარტყა თავი კუბოს კიდეს და ისეთი ხმით შეჰქივლა – „ხედავ, ეზეკი, ვინ მოდისო?“ – რომ სანდროს ტანში გასცრა, რატომლაც უსიამო გრძნობა დაეუფლა. გაახსენდა, ათი წელი რომ ჰყავდა მომდურებული ცოლის მთელი საგვარეულო სწორედ ეზეკის ბიჭის უმაღლესში მოწყობის თაობაზე...

სანამ სანდროს ფიქრები უფრო საშიშ მიმართულებას მიიღებდნენ, ისევ გაისმა შავოსნის ხმა:

– ასე უნდა ხვდებოდე შენ სანდროს, ჩემო ეზეკი?! მართალია, ესეც ორაზროვან თქმად მოეჩვენა სანდროს, მაგრამ ყურადღება არ მიაქცია, თავს იმშვიდებდა...

როგორც იქნა, მოთავდა მისამძიმრების საოცრად გაჭიანურებული ცერემონიალი და სანდრომ სუფთა ჰერზე გამოიტანა თავისი ასთმიანი გული.

– უცნაური ქალია, – ფიქრობდა ცოლზე, – კაცი ერთ დროს მოსაკლავად დამსდევდა, ძლიერ მოვიშორე და ახლა... რა საჭირო იყო ჩემი წამოსვლა...

ამ ფიქრებში იყო სანდრო, რომ უეცრად მსუბუქი მუჯლუგუნი იგრძნო მკლავში. „ვაიმე, მკლავენ!“ – რატომ-დაც ეს ფიქრი აეკვიატა. უკან რომ მოიხედა და დაინახა კაცი, რომელიც ნახევარი მეტრით ზევიდან დაჰყურებდა, სანდროს მკლავს დასაჭყლეტი ყურძენივით უჭერდა ხელს და საცრისხელა თვალებით საითკენლაც ანიშნებდა, საკამათო აღარაფერი იყო: სანდრო ვიღაცას ანგარიშის გასასწორებლად სადლაც მიჰყავდა.

შიში იმდენად ყოვლისმომცველი იყო, რომ სანდროს გადაავიწყდა უკანასკნელი ღონე ეხმარა და ვინმესთვის საშველად მოეხმო.

მისი გამოლენჩებით გულზეგახეთქილმა სულთამხუ-თავმა – წადი, კაცო, რომ გეუბნებიო, – ინტიმური ხმით წასჩურჩულა სანდროს და უბიძგა. სანდრომ პირი დაალო. არა! ყვირილს ვერ გაბედავდა, მაგრამ ის მაინც უნდოდა ეკითხა, რა გნებავთ, გეთაყვა, საით მიგყავართო, რომ... „ხმა! კრინტი არ გევიგონო ახლა აქანა და ჩუმად წამო-მყევით, ბატონო!“ – ამ სიტყვებით სანდრო ეზოდან გაი-ყვანეს, ქუჩა გადაატარეს, სადღაც ძირს ჩაიყვანეს რამ-დენიმე საფეხურით და პატარა კარს მიაყენეს.

აქ კი გაჯიუტდა სანდრო. ეტყობა, შიგნით მიპირებენ მოკვლასო, გაიფიქრა... და გადაწყვიტა, ცოცხალი თავით არ შესულიყო ამ კარებში. თუ მომკლავენ, ხალხმა მაინც გაიგოსო, იფიქრა და პირი „მიშველეს“ დასაყვირებლად გაალო, მაგრამ ამ დროს იმ გამყოლმა წიხლის კვრით კარი შეხსნა და ძახილით – „ა, ბიჭო, ჯუტუია, მიიღე, ოცდამეჩვიდმეტეა ეგიო!“ – შიშისაგან ფერდაკარგული, ენაჩავარდნილი და აკანკალებული სანდრო მარჯვენა ხე-ლის საკმაოდ უხეში მოძრაობით ოთახში შეისროლა და მაგრად დაუგმანა ზურგსუკან გასაქცევი გზა.

სარდაფი, სადაც სანდრო, მისი აზრით, უნდა მოე-კლათ, სულაც არ გავდა სასაკლაოს.

სანდროს წითელ-წითელმა სახეებმა შემოსცინეს და ვიღაცამ დაიძახა:

- მობრძანდით, ჩემო ბატონო, დაბრძანდით!
- შეხედეთ, კაცო, შეხედეთ! სტუმარ კაცს შიმშ-ილისგან ფერი აქვს დაკარგული და ამათ კი ააჭრელეს გაზეთები – ქელეხი მოვსპოთო. ოხ, მე მაგათი!..

ამ სიტყვებთან ერთად სავსე ჭიქა ჩასჩარეს გაყინულ ხელში სანდროს და მანაც ანგარიშმიუცემლად გადაუშვა ხახაში ღვინო, რომლის დალევაც უკვე 6 წელია, აღკვეთილი ჰქონდა ექიმებისგან... მერე ყველაფერი დატრიალდა: თართითა და ხიზილალით დამშვენებული შესანიშნავი სუფრა, გაბადრული სახეები, სავსე სასმისები... მის დახშულ სმენამდე კანტიკუნტად აღწევდა მექელებეთა სიტყვები:

– ყველა კი არაა, ჩემო ბუდუ ბატონო, აქანა შემოსაშობი!

– არც უშობთ მერე ყველას!

– აბა! ეგერ სამსონია კვირიკაძის ქელეხზე ვინცხა ინტრიგანმა, ი ოჯახდასაქცევმა, გადაცმული მილიციელები არ დააყარა ხალხს თავზე და არ ჩოუშხამა პურ-მარილი?

– მაგი რაა? საქელეხე ლობიოში ნაფთი ჩოუსხამთ ერთ გასვენებაში...

– უჰ!..

...ეზოში უკვე „შენ ხარ ვენახიო“ – გუგუნებდნენ შენილბული რეპროდუქტორები.

მეზობლის სარდაფში კი შენილბული ქელეხი ქუხდა.

## ჟკვიანური შეგონება

— შეირთე, ბიჭო, ცოლი, შეირთე! რო გაგსიებია თავ-მუცელი რაქიტიანივით და ეს ოცდარვა წლის კაცი კაი ოცდათვრამეტისას დამგვანებიხარ, რას აპირებ თუ იცი?! სანამ გინდა ასე ცალად იარო? შენ რომ იცოდე, რა ტკბილია ცოლ-შვილი, მაშინ კი არ იზამდი ამას. გეყოფა ამდენი სწავლა, აწი შენს თავს მიხედე! — ეს სიტყვები ახალი წლის მოლოცვამდე მომაყარა ცხვირ-პირში შეზარხოშებულმა ბეგლარმა და ცალი თვალით ახორხოცებულ სუფრას გადახედა.

— ამ ახალ წელს მაინც მომასვენე, თუ კაცი ხარ და შემოდი შიგნით! — მკლავზე წავეპოტინე ბეგლარს, მაგრამ თქვენც არ მომიკვდეთ! გასაყიდ თხასავით რომ გაჩაჩხა ფეხები, ვერაფრით დავიყოლიე.

ბოლოს, კარის ზღურბლთან, პირობა დამადებინა, რომ მომავალ ახალ წელს მეორე ნახევრით და ტყუპების აკვნებით დავხვდებოდი და მხოლოდ ამის შემდეგ გადმოალაჯა ზღურბლს.

— იცნობდეთ, ბიჭებო! ჩემი ბიძაშვილი ბეგლარ ბენ-დუქიძე გახლავთ!

ბიჭები დაფაცურდნენ, „ჩაიჩოჩ-ჩამოიჩოჩეს“ და ბეგლარი ჩემ გვერდით მოათავსეს.

— არა, თქვენ მაინც მითხარით, ცოდვის გადიდება არაა ახლა ამისთანა ოქროსავით ბიჭს ერთი კაი გოგო არ უმშვენებდეს გვერდს? არა, რას უცდის ბატონო, რას?! — მიუბრუნდა ბეგლარი ჩემ ამხანაგს.

— დისერტაცია აქვს, ბატონო ბეგლარ, ამ წელიწადში დასაცავი და ხომ იცით!..

— რას მიქვია დისერტაცია? რომელი დისერტაციის დაცვა შეედრება იმას, ყოველ 15 რიცხვში ცოლი რომ თაფლად დაგადნება თავზე...

ბეგლარს კიდევ უნდოდა რაღაცის თქმა, მაგრამ უხერხულობისაგან დაბნეულს, როგორც იქნა, მომავონდა, რომ შემოსწრებულის სადლეგრძელოს დალევა იყო საჭირო და ვტაცე ჭიქას ხელი...

სამადლობელი ბეგლარმა ისევ იმის მტკიცებით დაიწყო, რომ ყველაფრის მიუხედავად, ცოლის შერთვა მაინც აუცილებელია, რომ ეს ამბავი ბუნებას ასე გაუჩენია და უშვილიროდ გადაგებას ისევ ის ჯობია გადაიტანო ცოლისგან ყოველგვარი დაცინვა, „პოლისჯოხის“ ზურგზე გადამტვრევა, შეეჩიო აზრს, რომ უშნო და უგერგილო ხარ და ასე შემდეგ...

ამჯერად მრავალუამიერის წამოწყებით შევეცადე ამ არასასიამოვნო (უფრო სწორად სიტუაციისთვის შეუფერებელი) საუბრის შენწყვეტას, მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ „გრძელი მრავალუამიერი“ წამოვიწყე, ოდესმე მაინც ხომ უნდა დამემთავრებინა და... რომ დავამთავრე, ბეგლარმა სადლეგრძელოს ნებართვა ითხოვა. რასაკვირველია, იმწამსვე დავყაბულდი... ვიფიქრე, იქნებ დაავიწყდეს ამ თემაზე ლაპარაკი-მეთქი.

— ეს, ჩემო მეგობრებო, თქვენს მომავალს გოუმარჯოს, ვისაც ცოლ-შვილი გვყავს, კარგად გვიმყოფოს ღმერთმა. თქვენ, ჩემო ბიძიებო, ცოლის ყოლა ცუდი საქმე კი ნუ გვინიათ, ცოლს ენაცვალოს ჩემი თავი, ახლა იმას ტრამვაის ფული რომ არ მოეცა, ვერც ახალ წელს მოგილოცავდით და ვერც ვერაფერი. რა წამომიყვანდა ამ სიშორეზე ფეხით?

— ხომ მოუცია ტრამვაის ფული ქალს და რას ერჩი, შე კაცო? — ჩაურთო ვიღაცამ.

— აი, სწორედ მანდა ვარ მეც, გენაცვალოს ბეგლარი! აპა ტყვილა ვანაცვალებდი თავს ცოლს? ზოგს ისეთი ცოლი ყავს, ხელფასს თვლით იბარებს ქმრისგან და მერე

ტრამვაის ფულზეც უარს ეუბნება, ასე კი არაა, ძმაო, საქმე, აბა რა გეგონათ თქვენ?

ამ დროს დედაჩემი შემოვიდა ოთახში და ახლა მაინც მეშველა-მეთქი გავიფიქრე.

ბეგლარი მკლავებგაშლილი გაემართა დედაჩემისაკენ და გადაეხვია, ახალი წელი მოულოცა...

რავარი მამიდა მყავს ბიჭებო? – მიუბრუნდა სუფრის წევრებს ბეგლარი.

– როგორ ხარ, შვილო, ერთი წელია არ გაგვეარები-ხარ, სახლში როგორა ხართ?

– კარგად მამიდაჩემო, კარგად, მარა...

ვტაცე ისევ ჭიქას ხელი, სადლეგრძელო სადლეგრ-ძელზე ვაცლევინე ხალხს და როცა დავრწმუნდი, არაფ-რის გაგების თავი არ ქონდათ, ბეგლარს მივუბრუნდი და ჩუმად გადავულაპარაკე:

– ე, იბჟუტურე ახლა რამდენიც გინდა! რა მოგივიდა ბიჭო, ავად ხომ არა ხარ შენ დღეს, რა ლაპარაკი აგიტყდა თუ იცი, რას ერჩი იმ ქალს?

– აქეთ არ მერჩოდენ, თუ არა იქით რავა შევაწუხებ-დი ვინმეს, შე დალოცვილო?! – შემომიღრინა ბეგლარმა.

– კი მარა, რას გერჩიან, ბიჭო, ამისთანას?

– ამაზე მეტი რაღა გინდა, ამ ახალწელს სახლიდან გამომაგდო ცოლმა „შაქარნაჭამი ფუტკრის გაკეთებული თაფლის“ ყიდვისთვის და გზის ფული ფანჯრიდან გად-მომიყარა. არა, ისე ხომ მაინც კარგი ცოლი მყავს? ზოგი გზის ფულსაც არ გაიმეტებდა...

ღვინით გაულენთილი ბეგლარი ძლივს მივათრიე ლოგინამდე.

– ბიჭო, ცოლს... ცოლს... რატომ არ... ირ... – ამოი-ლულლულა ბეგლარმა და ხვრინვა ამოუშვა.

## მეგობარო, მათხოვა ეალი!

შუალამე მოახლოებული იქნებოდა, მოედანზე რომ ჩამოვედი.

საშინლად კმაყოფილმა იმით, რომ თამადას ასე მოხერხებულად დავუსხლოთი ხელიდან და ქალიშვილების გაცილებაც ოსტატურად ავიცდინე, – საათს ავხედე ქალაქის საბჭოს ჭრელი შენობის თავზე. ისრები შეყვარებულებივით ჩახვეოდნენ ერთმანეთს და წვეტები ზომაზე მეტად მოღუშული ცისკენ აეშვირათ.

ამ დროს ტროლებუსით ან ავტობუსით ვაკეში წასვლაზე ოცნებაც კი არ შეიძლებოდა. ტაქსების სადგომს ირიბად გავხედე. რიგი რომ დილამდე არ მომინევდა, დარწმუნებული ვიყავი, მაგრამ საკუთარი თავის დასამშვიდებლად მაინც ჩავდექი ტაქსის მომლოდინეთა შორის.

ჩემ წინ მდგომ ზორბა ქალს, ეტყობა, თავიდანვე არ მოუვედი თვალში და მწყერზე დაგეშილი პოინტერივით სულ კოჭებში მიყურებდა. ფეხების ყოველ მოძრაობაზე თვალებით მანადგურებდა და საკმარისი იყო ოდნავ მასზე წინ წავსულიყავი, რომ მართლა შუაზე გამგლეჯდა. ურიგოდ გაძრომის იმედი საბოლოოდ დამეკარგა. ავდექი და პროსპექტს დავუყევი, იქნებ რომელიმე დაღმართიდან ჩამომავალ ტაქსს წავანედე-მეთქი.

მწვანელიფლიფიანი ტაქსები ერთიმეორის მიყოლებით ჩამორბოდნენ თავდაღმართზე, მაგრამ იმავე წამში ქრებოდნენ და მე მხოლოდ კუდზე მბრნყინავ წითელ თვალებს მიპაჭუნებდნენ...

ვყვიროდი და ვსისინებდი, ვბლაოდი და ვუსტვენდი, ხელებს თმებსა და კისერში ვივლებდი, მაგრამ თითქოს ყველა ტაქსს მუხრუჭები მოშლოდა და ასე შეუჩერებლად

მიჰქეროდა ქვეყნიერების დასასრულისაკენ...

უცებ ერთმა ტაქსმა სვლა შეანელა... თვალები ორივე ხელით მოვისრისე და რომ დავრწმუნდი, მართლა ჩერდებოდა, სიხარულისაგან ფეხები ამერია. ვეცი კარებს...

– ზანიატი ვარ, ვერა ხედავ? – მითხრა მძღოლმა.

თვალი გავაყოლე მისი უკანგაშვერილი თითის მიმართულებას და ხელიხელჩაკიდებული, აქოშინებული ქალ-ვაჟიც მოაწყდა კარებს...


თვალებში რომ სინათლე დამიბრუნდა, ქუჩა პირნ-მინდად იყო დაცარიელებული.

ამოვედი ტროტუარზე და ანგარიშმიუცემლად წავლასლასდი წინ. ღვინისა და სიბრაზისაგან დაბინდულ ჩემ გონებას უეცრად ჩხუბისმაგვარი ხმა მოსწოდა. სადარბაზოს შესასვლელიდან ქალი და კაცი გამოვიდა. საკმაოდ შორს იყვნენ და ყველა სიტყვა ვერ გავარჩიე, მაგრამ ის კი შევნიშნე, რომ ქალი ხელებს შლიდა და კაცს ცხვირწინ უტრიალებდა.

– ნუ ღელავთ, ვერონიკა ჯიბილოვნა! – მომესმა კაცის სასოწარკვეთილი ხმა, – ყველაფერი მოგვარდება!

ტაქსმა გაისრიალა და იმათ რომ მიუახლოვდა, სვლა შეანელა, მაგრამ ქალმა ისე, რომ ქაქანი არ შეუწყვეტია, ანიშნა, არ გვჭირდებიო და ტაქსიც გაუჩინარდა. მე კი სემაფორივით აღმართული ხელი დუნედ ჩამომივარდა ძირს.

ღრუბლებით დაჯარულ ცას და მე ერთად აგვევსო მოთმინების ფიალა. ცამ ფიალა გადმოაპირქვავა და შიგ დაგუბებული წყალი ცერისსიმსხო წვეთებად დაუშინა ქალაქს; მე კი ანგარიშმიუცემლად მოვწყდი ადგილს, წყვილისკენ გავექანე და მღელვარებისაგან დაღრეჯილმა, გათვალისწინებულზე მაღალი ტონით შევღრიალე კაცს:



- მეგობარო, მათხოვე ქალი!
- სულ მიირთვი, შენი ჭირიმე, სიდედრია ჩემი! – მიჩურჩულა თვალებგაბრწყინებულმა კაცმა და კედელზე მისვენებულ, შიშისაგან თითქმის გონებანართმეულ ქალს გადახედა.
- დიდი მაღლობა! იქნებ, ახლა მაინც გამიჩერონ ტაქსი! – ვთქვი მე.
- ტაქსის ხსენებაზე ქალს ფერი მოუვიდა, წელში გასწორდა, მომხიბლავად გამიღმა და სიძეს მიუბრუნდა:
- თამაზ! მე ეს ახალგაზრდა გამაცილებს, შენ შინ წადი და ლიკას მიეხმარე ბავშვის დაძინებაში!

ტანში გამცრა ერთადერთი მანეთიანის პატრონს. ვინმეს გაცილება რომ მდომოდა, ქალიშვილების მეტი რა იყო იმ სუფრაზე...

ამასობაში სიძემ თავს უშველა, სიდედრისგან ფარულად ერთი საჰაერო კოცნაც გამომიგზავნა და უკან-

მოუხედავად გაჰქიცუსლა; ტაქსიც ყოველგვარი „სსიუ“-ს გარეშე ჩვენს წინ დაერჭო.

— დაბრძანდით! — ამოვილულლულე მე და ქალს გა-დავხედე. ალისფერთმიანი ვერონიკა ჯიბილოვნას უღ-მერთოდ შეღებილმა წამწამტუჩმა და ულტრამოდურმა ჩაცმულობამ საშუალება არ მომცა, დაახლოებით მაინც გამომეცნო მისი ასაკი. მაგრამ ამას არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა. ახლა ერთადერთი იმედი-და შემ-რჩა, — იქნებ, ამ ქალსაც ვაკისკენ ჰქონდა გზა?

ენაგადაყლაპული ჩავესვენე უკანა სავარძელში.

— საით, ჩვენი ძმა? — მომიბრუნდა დევივით თვალებ-ბრიალა მძღოლი.

„ჯანდაბაში!“ — გავიფიქრე და სანამ რამეს ვეტყო-დი... „მესამე მასივში!“ — კეკლუცი მეცო-სოპრანოთი გად-აულაპარაკა გვერდით მჯდომმა ვერონიკა ჯიბილოვნამ მძღოლს და მეც საბოლოოდ დავკარგე ნორმალური აზ-როვნების უნარი.

## როგორც თავა, ისე მოვა...

...ბოლოს ნიკო ცოლს გაეყარა.

იმ დღეს კარგი პურ-მარილი იკისრა და თვითონაც მიიღო „კურთხეული სითხის“ გარკვეული დოზა, მაგრამ იმას ვერ იტყოდით, დარდებს ახრჩობს ღვინოშიო... პირიქით, სუფრას ზედმეტად საზეიმო ელფერი გადაკრავდა და „მეორედ დაბადებას“ რომ დღესასწაულობდა, ამის დამალვას არც თვითონ ცდილა...

მერე ის იყო, ფსიქიატრიული საავადმყოფოს სანიტრებივით ენერგიულმა, სამმა რვა-რვა ფუთიანმა კაცმა მოასვენა სახლში და წინასწარ განცალკევებულად დადგმულ საწოლზე შემოდეს სახეზე ღიმგადაფენილი ნიკო....

კუნთებში მთელი ლამე ყრუ ტკივილებს გრძნობდა და სულ ფიქრობდა გამოსაფხიზლებელში მოვხვდიო, მაგრამ დილით, როცა საბოლოოდ მოეგო გონს, მათემატიკური სიზუსტით აღადგინა ყველაფერი, რაც წინადღით მოხდა და ერთხელ კიდევ დადგა „მე თუ ვლოთობ, შენ რას გიშლი, ძმობილო“ -ს ჩალილინების გუნებაზე.

აქედან დაიწყო ნიკოს უშფოთველი და უზრუნველი ცხოვრება. თანდათან დაიბრუნა ცოლის შერთვის მიზეზით დროებით დაკარგული თავისუფლება და სიმყუდროვე, მაგრამ ეს ყველაფერი მცირე მსხვერპლის გაღების ფასად დაუჯდა: სახლში საშინელი ანტისანიტარია გამეფდა. ან გაყრილ მეუღლეს მხოლოდ ოთახის კუთხეში დახვავებული ჭუჭყიანი თეფშების გროვა და „სკუმბრიის“ კონსერვის ცარიელი ყუთები თუ ახსენებდა.

კარგა ხანს უცქირა ნიკომ ამ ქაოსს, რომელიც ღმერთის მიერ ქვეყნიერების გაჩენის პირველ დღეებს მო-

აგონებდა და იმდენად უცნაურ და დაუჯერებელ დასკვ-ნამდე მივიდა, რომ თმები აებურძგლა. როგორ? ეს წვითა და დაგვით მოპოვებული თავისუფლება ისევ დაკარგოს?! მაშინ რა საჭირო იყო ამდენი წვალება? არა, ნიკო მოით-მენს... მოითმენს, რადაც უნდა დაუჯდეს... ცოლის ხე-ლახლა შერთვის სულელურ აზრს კი არასოდეს გაივლებს თავში.

...უურმილი თვით მამიდა მინადორამ აიღო... ძმიშვი-ლის გასაჭირი რომ მოისმინა, ერთი შეიცხადა და ნიკო-სკენ გამოეშურა. სამი დღე არჯულებდა მამიდა მინადო-რა ნიკოს ოთახს და მესამე დღეს, ამდენი ხეხვა-წმენდით თავგაბეზრებულმა, ძმიშვილს მოკლე ხანში მთლად გად-აგვარება უწინასწარმეტყველა და ურჩია, ისევ შეერთო ცოლი. თანაც გადაუკრა: ჩემ მეზობელ სევერიანს ისეთი ნათლული ჰყოლია, იმის სილამაზის ამბავი ზღაპრად დადის სამეზობლოშიო.

– შენ თუ ნახე, მამიდა, ეს მზეთუნახავი? – მორიდებ-ით ჩაეკითხა ნიკო.

– არა, შვილო, არ მინახავს. მაგრამ, თუ შენ დამეთანხ-მები, ამ შაბათსვე წავიდეთ სანახავად, ეგ საქმე მე მო-მანდე, სევერიანს სიტყვას გადავუკრავ... მაგათმა მზემ! ერთბაშად სასიძო არ დამიწუნონ...

ნიკოს მაინცდამაინც ჭკუაში არ დაჯდომია მამიდამ-ისის ნათქვამი, მაგრამ იგრძნო, ამ საქმეს პურ-მარილის სუნი უდიოდა და უკან არ დაუხევია.

შაბათიც მალე გათენდა. წინასწარ გაფრთხილებული ბიჭები, დილიდანვე ნიკოსას გადმობარგდნენ... გაისმა თუ არა უურმილში მამიდა მინადორას ხმა – „გელოდებითო!“  
– ტაქს ეძგერნენ და 10 წუთში წეიტრალური სახლის კარებთან გაჩნდნენ.

სუფრა იმდენად თვალისმომჭრელად და მრავალფეროვნად იყო გაწყობილი, რომ ნიკომ და მისმა მეგობრებმა ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად დაასკვნეს, ქალი საკმარისად შეუხედავი იქნებაო, მაგრამ ეს, რასაკვირველია, მთავარი არ იყო. მთავარი იყო ის, რომ დღეს მამა-პაპური ვახშამი მოელოდათ სასიძოდ წოდებულ ნიკოსა და მის კბილებდალესილ მომყოლებს.

ერთმა, ყველაზე უფრო მშიერ-მწყურვალმა, შემწვარ ჩვილ ბატყანს ბარკალი აახლიჩა და ერთი ჭიქა „მუკუზანიც“ ისეთი სისწრაფით ჩაიპირქვავა ხახაში, ნიკომ ძლივს მოასწრო გაეფრთხილებინა: ჭიქა არ აზარალო, თუ ძმა ხარ, ოჯახსო.

ამ დროს კარიც გაიღო და საპატარძლო გამოგოგდა... და აქ მოხდა ის, რაც ნიკოს მეტს არავის, არასოდეს შემთხვევია... ნიკოს ჯერ ყბა მოექცა, მერე რეტი დაესხა და დაკლული ქათამივით აფართხალებული, სკამიდან გადავარდა. არ ახსოვს, რამდენ ხანს იყო ასე, ეს რა გუგუნებდა მის თავზე, იქნებ თვითმფრინავში იჯდა და ღრუბლებში მიცურავდა?!

ბოლოს ყველაფერი დაწყნარდა და მოისმა საოცრად ნაცნობი ხმა. ეს ვახტანგი იყო, მისი ერთ-ერთი მეგობართაგანი, რომელიც ამ დელიკატური პურმარილის დაკარგვის შიშით, საცოდავი ხმით ჩასძახოდა ყურში ინფარქტმიღებულ მეგობარს:

– რა უჭირს, ბიჭო, შე უღმერთო, შეირთე ისევ... შენი ცოლი არაა?!

## დაკარგული საპეტო

ჩვენი რედაქცია დიდი არ არის, მაგრამ ნათქვამია: ინდაურსა და ჭინჭრაქას ერთნაირი სახსარი აქვთო. ამიტომ ჩვენც გვყავს რედაქტორი, გვყავს მისი მოადგილე, განყოფილების გამგეები, პასუხისმგებელი მდივანი, მისი მოადგილე, ერთი ფოტორეპორტიორი, ორი მემანქანე და ერთი კურიერი.

ჩვენთანაც, ისე, როგორც ყველა რედაქციაში, ლიტ-მუშაკებს განყოფილების გამგეობაზე აქვთ პრეტენზია, განყოფილების გამგეებს – რედაქტორის მოადგილეობაზე, ხოლო მოადგილეს, რასაკვირველია, რედაქტორობაზე უჭირავს თვალი... თუმცა არის შემთხვევები, როდესაც ზოგიერთი განყოფილების გამგე, რედაქტორის აუგად მოხსენიების შემდეგ, ასეთ პრეტენზიასაც აცხადებს: „აი, მე რომ რედაქტორი ვიყო!“... და ასე შემდეგ.

ყოველდღიური სჯა-ბაასი იმის შესახებ, თუ როგორ წარმართავდა რედაქციის მუშაობას და როგორ ააყვავებდა გაზეთს – რედაქტორი რომ თვითონ იყოს, მე ყოველ-გვარ ხალისს მიკარგავს, მქონდეს პრეტენზია იმაზე მაღალ პოსტზე, ვიდრე რედაქტორის პირადი მდივნობაა...

ჩვენ გვაქვს პატარა ოთახები და ერთი გრძელი დერეფანი, რომელიც არაფრით იმსახურებს განსაკუთრებულ ყურადღებას გარდა იმისა, რომ აქ დაფა კიდია. ეს ის დაფაა, რომლისკენ გახედვაც ყველას ტანში ზარავს, რადგან მასზე ყოველ დილით მანქანაზე გადაბეჭდილი, გულისგამხეთქი ცნობებია მიკრული. აქ შეხვდებით, მაგალითად, ცნობას იმის შესახებ, რომ დღეს, სამუშაო საათების დამთავრების შემდეგ შედგება საერთო კრება, ან რომელიმე ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოე-

ბის ლექცია, რომ რედაქციის ყველა მუშაკის დასწრება სავალდებულოა და ასე შემდეგ... ამავე დაფაზე ცხად-დება რედაქტორის საყვედურებიც სამუშაოზე 10 წუთით დაგვიანებისათვის...

განცხადებების გაკვრა დაფაზე, ეს ერთობ პროზაული საქმე, როგორც წესი და რიგი, მე მაქვს დავალებული. შეჩვეული ვარ იმ ამბავს, რომ ყოველთვის არასასიამოვნო შინაარსის განცხადებებს მანვდის დაფაზე გასაკრავად რედაქციის ადგილკომის თავმჯდომარე, ინფორმაციის განყოფილების გამგე. ამიტომ იმ დილით, ცოტა არ იყოს, გამიკვირდა, როცა მანქანაზე გადაძეჭდილი ბრძანების ნაცვლად, ყურებამდე გაღიმებული ადგილკომის თავმჯდომარისაგან დიდი თეთრი ქალალდი მივიღე, რომელიც მხატვარ-რეტუშიორის მიერ საგანგებოდ გამოყვანილი წითელი ასოებით იუწყებოდა, რომ ადგილკომი ექსკურსიას აწყობს ჩარგალშიო.

ამ განცხადებამ ყველა თავისებურად გაახარა. სხვისი რა მოგახსენოთ და მე, ოცდარვაოდე წლის გათხოვების მსურველ და ჯერ-ჯერობით გაუთხოვარ ქალიშვილს იმიტომ მიხაროდა ეს ექსკურსია, რომ ერთ-ერთ ახალგაზრდა ლიტმუშაკთან (რომელიც, გამოგიტყდებით და, მომწონდა) უფრო დაახლოების საშუალება მომეცემოდა...

ჩემი აზრით, მასაც მოვწონდი (ამაზე ლაპარაკობდნენ კიდეც ჩუმ-ჩუმად რედაქციაში), ხოლო თუ ის ჯერ-ჯერობით დუმილს არჩევდა, ამას მე ლიტმუშაკის სიმორცხვეს მივაწერდი.

განცხადებას რომ ვაკრავდი, იმაზე ვოცნებობდი, როგორ განსაკუთრებულ მზრუნველობას გამოიჩენდა ის ჩემს მიმართ, როგორ მომეშველებოდა ხოლმე ავტობუსში ასვლა-ჩამოსვლისას, თუ როგორ დავტკბებოდით ერთად საქართველოს

ისტორიული ძეგლებით, რომლებსაც გზად გავივლიდით ჩარ-გალამდე და ბოლოს, როცა თბილისში დავბრუნდებოდით, როგორ მიმაცილებდა სახლამდე და... გზაზე, ვინ იცის, ეგებ გაებედა იმ სანატრელი სიტყვის თქმაც...

ყველაფერი ჩინებულად დაიწყო. მთელი რედაქცია მოდიოდა ექსკურსიაზე, გარდა რედაქტორისა. მასთან არაერთგზის შეიგზავნა დელეგაცია სხვადასხვა შემად-გენლობებით, რომლებიც გულმხურვალედ ევედრებოდ-ნენ „ძვირფას“ ხელმძღვანელს, როგორც ყველგან და ყოველთვის, აქაც ეკისრა მათი პატრონობა, მაგრამ არა-ფერმა გასჭრა. რედაქტორი ჯიუტად დუმდა, რაც მისთ-ვის (სხვებისგან განსხვავებით) უთანხმოების ნიშანი იყო და რაც ფრთებს ასხამდა ყველას... კაბინეტიდან გამო-სულნი ცალ-ცალკე გაიძახოდნენ:

— არ წამოვა და არცაა საჭირო... მაგისთანა „მალოლი-ტრაჟუა“ ან რა გასარევია ამნაირ ამბავში?!

მე ეს უკანასკნელი ფრაზა, მართალი გითხრათ, არ მესმოდა, მაგრამ ნაექსკურსიეჲს ჩემთვის უკვე ყვე-ლაფერი ნათელი გახდა...

ათ-ათი მანეთი წინასწარ ჩაბარდა საორგანიზაციო კომიტეტს, რომლის ხელმძღვანელიც სტილისტი და მთარგმნელი სილიბისტრო კვირტია იყო. საგზლის თა-დარიგი კორექტორებმა – გოგოლამ და ცუცამ იკისრეს.

კვირა დილით, რედაქციის კარებთან, ცხრის თხუთ-მეტ წუთზე, როცა ოცი წუთით ადრე მოსულ ყველა წამს-ვლელს თმენის ღონე უკვე ელეოდა, როგორც იქნა მოთ-ახთახდა მინებჩაცვენილი ავტობუსი, რომელშიც დიდი წვალებით და ვაი-ვაგლახით ვეებერთელა, რედაქციამდე ტაქსით მოთრეული კასრი ჩაიდგა ჯერ, ხოლო შემდეგ ჩვენ მოვთავსდით.

მე ახალგაზრდა ლიტერატურული მშველოდა ავტობუსში ასვლისას და ყველაზე სასიამოვნო ის იყო, რომ ის იძულებული გახდა ჩემ გვერდით დამჯდარიყო, რადგან ადგილკომის თავმჯდომარის გვერდით, სადაც ლიტერატური ცდილობდა მოხვედრას, სტილისტი დაჯდა.

წასვლამდე, ადგილკომის თავმჯდომარემ ერთი წუთით ითხოვა ყურადღება და კატეგორიულად აგვიკრძალა ავტობუსის დანაგვიანება მზესუმზირის ჩენჩოთი და კანფეტის ქალალდებით.

ყოველივე ამის შემდეგ დავიძარით...

ერთ ათ წუთს კი იყო ჩვენს ავტობუსში ისეთი განწყობილება, ექსკურსიას რომ შეჰვერის, მაგრამ შემდეგ შეთანხმებულებივით ყველამ ჩამოყარა ყურები. განსაკუთრებით ჩემი ლიტერატურული აწრიალდა, ხან კასრს გახედავდა, ხან უკან მჯდომ ადგილკომის თავმჯდომარესა და სტილისტს, რომლებიც თავის მხრივ აგრეთვე მოუსვენრად ცმუკავდნენ და მალ-მალე გაურბოდათ მზერა კასრისკენ... ყველას რაღაცის თქმა უნდოდა და ვერავინ ბედავდა. ბოლოს რედაქტორის მოადგილემ ვერ მოითმინა და გამომწვევად იკითხა:

ათის ნახევარზე რომ სამსახურში მოვდივარ, მაშინაც პირს ვითუთქავ სიჩქარისაგან და როგორ გგონიათ, 8-ის ნახევარზე წამოვარდნილი კაცი კარგად მოვასწრებდი დანაყრებას, თუ იცით?

საკითხის ამგვარად დასმას ჩემი ლიტერატურის კონტრშეკითხვა მოყვა:

– მერე რა არის ამისთვის საჭირო?

ამ კონტრშეკითხვას კი ადგილკომის თავმჯდომარის დამაჯერებელი პასუხი:

– რა და მანქანის გაჩერება და წასაუზმება.

...პირველი წასაუზმება ლოყების ოდნავი შეფაკვლის ფასად დაუჯდა ამ გამთენისას წამოვარდნილ და ფაცა-ფუცით ავტობუსში ჩაცვენილ ხალხს. ყველაზე უცნაური კი ის იყო, რომ მაინცდამაინც არც ქალები მორიდებიან რამდენიმე ჭიქით მადის გახსნას.

ეს მცხეთაში მოხდა...

უინვალში რომ ავედით, სადილის დროაო – ვიღაცამ და პროკლამაციასავით აიტაცეს ეს ორი სიტყვა.

მანქანა გააჩერეს და ტყეში, არაგვის პირას გაიშალა სუფრა...

მეექვსე ჭიქაზე, სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგე, რომელსაც არაერთი კრიტიკული კორესპონდენცია, ფელეტონი და იქამდე პამფლეტიც კი ჰქონდა დაწერილი ბუნების მშვენიერების გარეწარ ხელმყოფელებზე, ნორჩ ხეებს ხორცის საჭრელი ნაჯახით დაერია და ჩეხვა დაუწყო, – ნედლ შამფურზე შემწვარი მწვადები უნდა ვიგემოო. ქალების მუდარა – შეეწყვიტათ სმა და გზა განგვეგრძო, არავინ შეისმინა...

ნახევარ საათში ცეკვა-თამაშიც გაჩაღდა. ადგილკომის თავმჯდომარეს სლოკინი აუტყდა, მაგრამ მიუხედავად ამისა, მაინც არ აპირებდა ქართული ძეგლების სადღეგრძელოდ წარმოთქმული გრძელი ტირადის დამთავრებას.

ჩემი ლიტმუშაკი ვიღაცის მიერ სხვათაშორის წამოღებულ გიტარას ებდოვნა და დედის მკერდიდან მოგლეჯილ ბოჩოლასავით აბლავლდა:

„ბანტიანი გიტარა მაქვს,  
ტარი აჭრელებულიო,  
ორი შეყვარებული მყავს,  
ქე ვარ გაშტერებულიო“...



იმედის ნაპერწკალი, რომელიც მე-12 ჭიქამდე ჯერ კიდევ შემრჩენდა, გრძნობამორეული სტილისტის გულ-ჩვილმა ლუდლულმა ჩამიქრო. იგი რედაქტორის მოადგილეს მიეჭრა, მკერდზე დაემხო და ვერაფრით ააგლიჯეს კურიერმა და მხატვარ-რეტუშიორმა...

ახლა ჩვენი, ქალების, ერთადერთი საზრუნავი იყო, ეს ხალხი როგორმე მანქანამდე მიგვეტანა და შიგ ჩაგვენყო. ჩვენდა ბედად, მძლოლი თავს იკავებდა სმისაგან... რის ვაი-ვაგლახით, რიგ-რიგობით მოვათავსეთ მანქა-

ნაში მძინარე ლიტმუშაკი, პერანგგაგლეჯილი სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგე, ახლადენაადგმული ბავშვივით მოჟღურტულე ადგილკომის თავმჯდომარე, თვალებამოტრიალებული სტილისტი და დავიძარით... დავიძარით, რასაკვირველია, თბილისისაკენ.

ჩემმა ლიტმუშაკმა სლოკინს მოუხშირა, უეცრად საშინლად წამონითლდა, სახე სიმწრის ოფლმა დაუცვარა, აწრიალდა, გაიღვიძა, ეცა ფანჯარას, ვითომ გასაღებად, მაგრამ ვერ შეძლო, მოსხლეტით დაეშვა, თავი ჩაღუნა და...

ადგილკომის თავმჯდომარე უკვე აღარავის მოუწოდებდა სისუფთავის დაცვისაკენ, უკან გაშოტილიყო, თავი სტილისტის კალთაში ჩაერგო და დროდადრო წამოიხრო-ტინებდა ენაარევით: „მ... მ... მე... ე... ე... რ რ რ მ რედაქქტორი ვიყო“... მაგრამ ვერცერთხელ ვერ დაამთავრა, თუ რას იზამდა, რედაქტორი რომ თვითონ ყოფილიყო...

როგორც იქნა, ჩამოვალწიეთ თბილისამდე. ქალებს და მძლოლს საშინელი დღე დაგვადგა. გათენებამდე ვარიგებდით სახლებში გრძნობადაკარგულ პრესის მუშაკებს, რასაც მათი მეუღლების აღშფოთებული შეკივლება და დაუფარავი ემოციები ახლდა თან.

ლიტმუშაკის შინ მიტანა, რასაკვირველია, მე მხვდა წილად...

აღარ მაფიქრებდა, რომ ვერ ვნახე ჩარგალი, ვაჟას სახლი, რადგან უფრო დიდი სადარდებელი მქონდა: დავკარგე საბედო და... შესაძლებელია გათხოვების იმედ-იც.

## პენიამინო ჯილის დაღუპვა

ის არც ნებაპოლში დაბადებულა და არც სორენტოში. უბრალოდ, ერქვა ბენია და იყო ჯიმშელეიშვილი. დადიონ და პატარა პროვინციული ქალაქის ქუჩებში, ყელზე შავი ბაფთით და „მი-ი-ი-ი, ლა-ა-ა-ა-ა“-ს გაიძახოდა. ტენორი ვარო, ზუსტად ჯილის ტემპრის ხმა მაქვსო. ამხანაგებმა შეიბრალეს და ბენიამინო ჯილი შეარქვეს.

სიმღერას კი სრულიად შემთხვევით ეზიარა: ერთხელ, მათთან მამამისის მეგობარი – სამსონ კობეშავიძე მოვიდა. ეს კაცი პროვინციული ქალაქის მუსიკალურ ტექნიკუმში სიმღერის გაკვეთილებს ატარებდა და ამბობდნენ, ერთხელ ვანო სარაჯიშვილთანაც კი უმღერიაო. ზმნას, რასაკვირველია, თურმეობითში ხმარობდნენ, რადგანაც ამ ამბის პირველწყარო თვით სამსონი იყო, ხოლო სხვას არავის მოუსმენია მისი და ვანოს დუეტი.

სამსონი თავის ხმას „მრავალუამიერებზე“ არ ახურდავებდა, მაგრამ იმ ღამეს ისე გაილენა, სუფრის წევრებს სამ თითს უშვერდა და „უ-ზე მითხარით, ბატონებო, ბანი“-ო – იხვეწებოდა. ამდენ მუქ-ლურჯ ბანებში ბენიას „უ-უ-უ“ ყველაზე მჭახედ გაისმა და მაშინ იყო სწორედ... ამ ბოვშვს მოუარეთ, არ დაღუპოთ, ჭეშმარიტი ხელოვნების გზას არ ააცდინოთო, მამამისს რომ შეევედრა სამსონი.

ამის შემდეგ ბენიამ კინო-ოპერებზე სიარულს მოუხშირა და კარუზოსა და იან კიპურას ხმების ყოველ გაგონებაზე (როგორც შემდეგში თვითონ იხსენებდა) ყელში უცნაურ ხიცინსა და ხმის უსაშველო მოწოლას გრძნობდა.

სამიოდე წლის შემდეგ კი ახდილთავიან შავ საკონცერტო როიალთან მდგომ ბენიასა და სამსონ კობეშავიძ-

ეს შორის დაახლოებით ამგვარი დიალოგი იმართებოდა:

ბენია (თვალდახუჭული, გულხელდაკრეფილი და ჩვეულებრივი ადამიანის ყურისთვის აუტანელი ღრიალით): „ია პომნიუ ჩუდნოე მგნოვენიაა“...

სამსონი: სტოპ! მგნოვენია კი არა, მგნოვენიე, შე უპატრონო! ჯერ ეს ერთი და მეორე, – ნ-სთან მიახვი ზნავი ქენი!.. იცი, ბიჭო, შენ, ქემაინც, ვის რომანსს ამახინჯებ?

– რავა არ ვიცი, სამსონა მასწავლებელო! – დრაგო-მიშსკის...

– გლინკასია მაგი, მე ასე მახსოვს, ჯერ ეს ერთი და მეორე, – დრაგომიშსკი კი არა, დარგომიშსკი, შე უბე-დურო!

– კი მარა, ხო ვარ მე მომღერალი, სამსონა მასწავ-ლებელო?!

– ან იქნები, ან სულს ამოგხდი!

– ჰოდა, ჩემი საქმეა ვიმღერო და რომანსი ვისია, მაგას კონფერანსიეც ქე გამოაცხადებს...

31 წლის ასაკიდან ბენია უკვე კონსერვატორიის სტუ-დენტია...

გაუთავებელ „ლა-ლაპ, ლა-ლაპ, ლა-ლაპ“-ს ვერც ერთმა სახლის პატრონმა ვერ გაუძლო და ბენია სტუდენტაქში გადასახლდა....

სამი დღის შემდეგ მთელ კორპუსში მარტო თვითონ ცხოვრობდა...

დადიოდა ოპერის წინ, ზამთარ-ზაფხულ „პუხოვკის“ კაშნეთი ყელშეხვეული...

– აა, ჯილის გაუმარჯოს!

– მმი-ი... გაგიმარჯოთ, ბიჭებო!

– მანრიკოს საქმე როგორაა? გამოდის ბელკანტოები?

- ლა-ა... ოჰ, კარგად, არაუშავს...
- თითო ას-ასი გრამი ხომ არ დაგვერტყა, ბენია-მინო?
- რრე-ე... არრავითარ შემთხვევაში! წვეთი არ შემი-ძლია, ხვალ კონცერტი მაქვს...
- ან იქნებ ჩეხური ლუდი...
- ფაძიებ!.. აპ-აპ-აპ, ჩაო, ბიჭებო!
- ჩაო, ჩაო, ჯილი!..

...კონსერვატორიაში სწავლის პერიოდში ბენიას არ მიეცა შესაძლებლობა, ფართო აუდიტორიის სამსჯავ-როზე გამოეტანა თავისი ბრწყინვალე ტენორი; ორად-ორი საკურსო კონცერტის უღარიბესი აუდიტორიის აზრი, რა-საკვირველია, საზოგადოებრივ აზრს არ გამოხატავდა და, ყოველივე ამის გამო, სავსებით ჩამოყალიბებულ ჯილის, ნაცვლად იმისა, რომ საოპერო თეატრის სცენაზე სოლის-ტად გამოსულიყო, მშობლიურ პროვინციულ ქალაქში მოუხდა დაბრუნება სიმღერის მასწავლებლად.

იმედს მაინც არ კარგავდა...

და, აი, დიდი ხნის ნანატრი დღეც დადგა: ქალაქის ერთ-ერთი სანარმოს 25 წლის იუბილე ტრადიციული კონცერტით გვირგვინდებოდა. აქ ბენიაც უნდა გამოსულიყო. ეს ამბავი მისთვის მხოლოდ 3 დღით ადრე გახდა ცნობილი და ეს სამი დღეც ღელვასა და რეპერტუარის შერჩევაში გაატარა...

გადაწყდა: ბენია ფართო აუდიტორიის წინაშე წარს-დგებოდა კანიოს არიოზოთი, ლეონკავალოს „ჯამბაზე-ბიდან“, ხოლო მანრიკოს არიას „ბის“-ისთვის შემოინახ-ავდა...

...ჯილი კულისებში დგას თეთრ ფრაკსა და წითელ ცხვირსახოცში გამოწყობილი. მისმა მორთულობამ პრო-



ვინციული ქალაქის შტატიანი კონფერანსიე პირის დაღებამდე განაცვიფრა, მაგრამ გადაწყვიტა: კაცს კონსერვატორია აქვს დამთავრებული და ჩემზე უკეთ იცის... ალბათ ასეა საჭიროო...

ჯილი კი დგას კულისებში... აი, სულ მალე იგი სცენაზე იქნება, მაყურებლების მქუხარე ოვაციებს ნაზი ღიმილით უპასუხებს და... აქ დაიბადება ნამდვილი ბენიამინო ჯილი... მერე, ყვავილებში ჩაფლულს, მადლიერი თანამოქალაქენი ხელით ჩამოიყვანენ სცენიდან...

– „მი კასკა ბე-ე-ე-ელლა, კასკა ბე!“.. – სცენაზე მდგომ გიტარისტთა ტრიოს ხმებს ტაშის გრიალი ფარავს და ბენიას ფიქრის ძაფი უწყდება. ამ ტაშს კლასიკური მუსიკის (და ამდენად, თავის პირად) შეურაცხყოფად თვლის.

„...ამოძრავება სიყალბის ჩეარის, –

აი, რა არის აპლოდისმენტი!“ – იტყოდა ბენია, ოდესმე გალაკტიონი რომ წაეკითხა, მაგრამ ტაში ანი ნახეთ თქვენო, მხოლოს ეს გამოსცრა კბილებში.

ერთგვარად დაბნეული და აღელვებული ბენია (სცენაზე მისმა გამოჩენამ მხოლოდ სიცილი გამოიწვია) გაურკვეველი ასაკის კონცერტმაისტერს მიუბრუნდა და ტრადიციული ფრაზა ესროლა:

– პრაშუ, აგრაფინა ბიჭიევნა!...

თავგადაგლეჯილი მღერის ჯილი... მისტირის დამსხვრეულ სიყვარულს...

– რრიდი პაიაცო – ო-ო. – გაჰკივის, მაგრამ ტაში, რომელსაც სწორედ ამ ადგილას ვარაუდობდა, იგვიანებს...

კანტი-კუნტი წამოყვირება, შიგადაშიგ სტვენა... „ბის“-ისთვის შემონახული მანრიკოს არია საჭირო აღარაა...

... მეორე დღეს ბენია ერთმა მისმა მეგობართაგანმა სასაუზმე „სვით ჩვენი ქალაქის ლუდში“ საკმაოდ უჩვეულო პოზაში იხილა: მკერდი მოელელა (სადღა იყო განუშორებელი „პუხოვკის“ კაშნე!), ცხვირწითელა ხალხში ჩამჯდარიყო და ხელში ლუდის კათხა ეჭირა. მაგიდაზე კი „ნარინჯოვანი მწარის“ ნახევრადდაცლილი ბოთლი იდგა.

– სალუტ, ჯილი! ეს რა ამბავია?

– ბენიამინო ჯილი დაიღუპა! ჭეშმარიტი ხელოვნება მკვდარია! – ხმის ჩახლეჩამდე იღრიალა ბენიამ და თანამესუფრეთა თავშეუკავებელ ღიმილს რომ წააწყდა, ჩუმად დაუმატა: ყოველ შემთხვევაში, იგი ამ ქალაქს არ ჭირდება!..

## არ არის სიმჰვიდე ავთანდილის სახლში

პარასკევ დილით, 9 საათზე მოტოციკლეტიანმა მილიციონერმა უწყება მოიტანა...

11 საათისთვის უკვე შეიკრიბა ნათესავთა წამყვანი ბირთვი...

12 საათზე შვილის ავადმყოფობის საბაბით სამსახურიდან გამოძახებულ იქნა ოჯახის უფროსი – ავთანდილ კვერენჩილაძე.

გრძელი სასადილო მაგიდის თავში იჯდა სიმამრი. სიმამრს ერქვა პანტელეიმონი (იგივე პანტე) და პირი-სახის ნაკვთების მთელი დაძაბვითა და კოპების შეყრით ცდილობდა ამოეკითხა უწყებიდან იმაზე მეტი, რაც შიგ ეწერა... ამას ვერ ახერხებდა და ვინ იცის, მერამდენედ კითხულობდა:

„მოქალაქე ავთანდილ კვერენჩილაძეს! გთხოვთ, გამოცხადდეთ მილიციაში კვირას, დილის 9 საათზე (აქვე მითითებული იყო მილიციის მისამართი და ოთახის ნომერი). თან იქონიეთ პასპორტი“...

მილიციაში დაბარებულს მობეზრდა ამდენი დუმილი.

– მდაა! – თქვა მან ბოლოს და ქვისლს გადახედა.

ქვისლმა ვერ გაუძლო მზერას, რომელიც დაახლოებით ასე იკითხებოდა: „ყველაფერი გასაგებია. რაც მჭირს, შენგან მჭირს, მაგრამ მაცალე... 20 წლის შემდეგაც რომ გამოვიდე ციხიდან, შენთვის გამოვალო!“.. და თვალები მორცხვად დახარა.

ქვისლი ჩვეულებრივი ბიოლოგიის მასწავლებელი იყო და მეტი არაფერი. ამიტომ სიმამრი და, საერთოდ, ცოლის მთელი ჯილაგი ამრეზით უყურებდა. შემთხვევას ეძებდნენ, რომ თავს დასხმოდნენ უმარიფათო, გამხდარ

და საწყალ მასწავლებელს და აპა, შემთხვევაც... აშკარა იყო, მას დასმენაში ედებოდა ბრალი.

— კი, მაგრამ თუ რაიმე სერიოზულია, მაშინ რას მივაწეროთ ასეთი ლმობიერი ტონი: „გთხოვთ გამოცხად-დეთ“... — სცადა ხმის ამოღება ქვისლმა, მაგრამ ჩახშობილ იქნა სიმამრის მიერ:

— ამდენი მაინც როგორ არ გესმით! — გამანადგურებლად დამცინავი კილოთი წარმოთქვა პანტემ უბადრუკი სიძის მისამართით, — რომ ეს ფანდია, რათა ცხვარივით მიგიტყუონ მილიციაში და თანამოსაქმენი არ დაგიფრთხონ...

— საქმე, საქმე! — მოუთმენლად წამოიგმინა ავთანდილმა და მხესნელივით გადახედა მრავალნაცად სიმამრს, რომელიც უკვე ტელეფონის წიგნს ჩაჰქირკიტებდა...

რამდენიმე წუთში ვექილმა იონა ახრახაძემ შემოალო კარი. ოდესლაც პანტელეიმონი ამ კაცის დაცვის ქვეშ იმყოფებოდა საბრალმდებლო სკამზე და მას შემდეგ ვექილის ოჯახთან კავშირი არ გაუწყვეტია. ახრახაძემ ყურადღებით შეათვალიერა იქმყოფთა სახეები, განსაკუთრებით დიდ ხანს შიშისაგან სულწასული ბრალდებულის სახეზე გაყინა მზერა, ბოლოს უწყებასაც გადახედა და თქვა:

— სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის პირველი თავის მეათე მუხლის თანახმად არავისა აქვს უფლება პატიმრობაში აიყვანოს კაცი პროკურორის სანქციის გარეშე.

ავთანდილის სახეზე სიხარულისმაგვარი გაელვება დაიჭირა ვექილმა, არ ესიამოვნა, ერთხელაც დახედა უწყებას და განაცხადა:

— თუმცა აქ განსაკუთრებულ შემთხვევასთან უნდა გვქონდეს საქმე. მოსალოდნელია ყველაზე მძიმე შედე-

გები (ავთანდილი ისევ განადგურდა)... მაგრამ ნუ შეგე-შინდებათ! როგორც კი პატიმრობაში აგიყვანენ, მაშინვე მომაკითხოს თქვენმა ცოლმა...

ავთანდილის უმცროსმა ძმამ, რომელმაც წელს მე-ექვსედ უშედეგოდ ჩააბარა მისაღები გამოცდები უნივერ-სიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე, ბოლო მომენტში იმ-დენად აღმაშფოთებელი აზრი გამოთქვა გადამალვისა და მილიციაში გამოუცხადებლობის თაობაზე, რომ სმების აბსოლუტურმა უმრავლესობამ თავ-თავიანთოვის დაას-კვნა, – ასეთ დეგენერაცს მართლაც ვინ მიიღებს უნი-ვერსიტეტშიო.

მეორე დღეს, ესე იგი, შაბათს გადაწყდა: ხილის მიმ-ლები პუნქტის გამგეს – ავთანდილ კვერენჩილაძეს მი-ლიციაში ცოლი და ცოლისდა გაყოლოდნენ მსუბუქი და თბილი ტანსაცმელების ბოხჩით და ერთი კვირის სამყო-ფი, მაღალკალორიული საჭმელებით სავსე მოზრდილი კალათით...

კვირა დილით, 9 საათზე მილიციაში გამოცხადებული ავთანდილი დიდ დარბაზში შეუშვეს და კარი გარედან გადაუკეტეს. დარბაზში 20-მდე კაცი დაწრიალებდა. უმე-ტესობა ახალგაზრდობა იყო. ავთანდილი შეეცადა ვინმეს გამოლაპარაკებოდა, მაგრამ მოქალაქენი იმდენად იყვნენ თავ-თავიანთ საფიქრალში ჩაძირულნი, რომ ავთანდილ-მა ხელი ჩაიქნია და შეეცადა გამოეცნო, სახელდობრ რომელი დანაშაულისათვის მიიყვანეს ციხეში საკუ-თარი ფეხით. „იქნებ საგარეჯოს ამბებთან დაკავშირე-ბით, ა?.. აჲ, ღმერთმა ნუ ქნას, თორემ დავიღუპები... აბა მაშ იმ ამასწინანდელმა რევიზორმა გამომჭრა ვითომ ყელი, რომლისთვისაც ჩიტის რძე არ მომიკლია? არა, რა სისულელეა... თავის დასაკლავ დანას თვითონ ხომ

არ გამოჩერეკდა?! ნამდვილად იმ გამსლეული ქვისლის საქმეებია... ღმერთო!“

ავთანდილს ტვინში რაღაც მუხრუჭებმა მოუჭირეს, ვეღარ მოითმინა და ერთ ახალგაზრდასთან მივიდა:

– რატომ ვართ, თუ იცით, დაჭერილები?

– ყველას ჩვენ-ჩვენი დანაშაული გვაქვს! – ცივად მოუჭრა ამ უკანასკნელმა და ფანჯარაში ცერა განაგრძო. ავთანდილმაც გადაიხედა: ეზოში წვრილმანი ხულიგნები დაფუსფუსებდნენ; მილიციელების ზედამხედველობით ისინი ეზოს გვიდნენ და საფურთხებელ ურნებს აპრიალებდნენ. ერთი მათგანის სახე საოცრად ეცნაურა ავთანდილს. მაგრამ ახლა იმაზე ფიქრის დრო, თუ სად ნახა ეს კაცი – არ იყო.

დარბაზში მილიციელმა კიდევ ერთი დამფრთხალი კაცი შემოაგდო. გულშემოყრილი ავთანდილი მილიციელს მიეჭრა:

– თქვენი ჭირიმეთ. თუ დასაჭერი ვარ, დამიჭირეთ და ჩამსვით, თუ არა და 6 საათზე რაიონში ვარ წასასვლელი მივლინებით და გამიშვით, გთხოვთ!..

როცა მილიციელმა გულგრილად განუცხადა, – თავის დროზე სადაც საჭიროა, იქ გაგიშვებთო, – ყველაფერი გასაგები გახდა...

დედოსული ამოუვიდა 2 საათამდე ავთანდილს, ვერც მისი ამოდუღებული და ამოხეთქილი სული დაიტია დარბაზის კედლებმა და ვერც კედლები გახეთქა ავთანდილის სულმა.

ზუსტად 2 საათზე დარბაზში მილიციის მაიორი შემოვიდა და გამოაცხადა, რომ მილიცია ატარებდა აღმზრდელობით ღონისძიებას, ქუჩაში მოძრაობის წესების დამრღვევთათვის. კვირადღე კი საგანგებოდ იყო შერ-


ჩეული, რომ ღონისძიების ეფექტურობა უფრო საგრძნობი ყოფილიყო...

გაოგნებულ ავთანდილს გულს მოეფონა. ახლალა გაახსენდა ერთი დეტალი, რომლისთვისაც მაშინ ყურადღება არ მიუქცევია: სამსახურში მირბოდა ამ რამოდენიმე დღის წინ. სასტვენის ხმამ შეაჩერა. მიმოიხედა. შუა ქუჩაში იდგა და მილიციელი ზრდილობიანად ეკითხებოდა გვარსა და მისამართს:

— აი, თურმე რა ყოფილა! — ავთანდილმა შვებით ამოისუნთქა, მერე ერთი წუთით გარეთ გასვლა ითხოვა. როცა არც თუ ისე ხალისით ნება დართეს, ფანჯარასთან მიირბინა და ლოდინით გათანგულ კალათებიან ცოლსა და ცოლისდას ხელი დაუქნია — წადით, ყველაფერი რიგზეა.

მილიციის მაიორი ლექციის კითხვას შეუდგა... ლექციამ 2 საათს გასტანა. მერე 4 საათის განმავლობაში უჩვენებდნენ კინოკადრებს, სადაც ფიქსირებული იყო უბედური შემთხვევები, რომლებიც ქუჩის უადგილო ადგილას გადაჭრას მოსდევს.

გულზემოშვებულიავთანდილიაქტიურმონაწილეობას იღებდა ღონისძიების მაღალ დონეზე ჩატარებაში: სვამდა შეკითხვებს, გამოთქვამდა აზრებს, გმობდა ქუჩაში მოძრაობის წესების უხეშ დამრღვევთ და მაშინ, როცა უკვე თითქმის ყველაფერი დამთავრდა, ავთანდილმა ერთხელ კიდევ ითხოვა სიტყვის უფლება, ვრცლად მიესალმა მილიციის თანამშრომელთა ამ შესანიშნავ ღონისძიებას, წინადადება წამოაყენა, ასეთი ღონისძიებები ხშირად უნდა ტარდებოდესო და, ასე გასინჯეთ, სააგიტაციო პლაკატი-სათვის ტექსტიც კი შესთავაზა მილიციას:



„თუ არა ხართ ვირები, თუ არა ხართ მხეცები,  
დაიცავით ქუჩაში მოძრაობის წესები“...

ყოველივე ამით ავთანდილმა ჭალარაშერთული მილი-  
ცის მაიორის მადლობა და ხელის ჩამორთმევა, ხოლო  
დამსწრე საზოგადოების აღმფოთებული მზერა დაიმ-  
სახურა, რომელშიც არაფსიქოლოგიც კი ამოიკითხავდა:  
„ზიზლი მაგასო!“...

ღამის თერთმეტ საათზე ავთანდილი ოჯახში ზეიმით  
მიიღეს...

ნაქეიფარმა ავთანდილმა იმ ღამეს უმშვიდესი ძილ-  
ით დაიძინა, რაც წლების მანძილზე არ ლირსებია. არც  
კოშმარული სიზმრები უნახავს, ადრე რომ ახრჩობდნენ,  
მაჯლაჯუნასავით კისერზე ეკონწიალებოდნენ და სამ-  
ოთხჯერ წამოახტუნებდნენ ხოლმე საწოლიდან.

მეორე დღეს გამოძინებულ-გამოშუშებული ავთანდი-  
ლი სამსახურში მივიდა და ელდა ეცა: მაგიდასთან რამ-  
დენიმე რევიზორი იქექებოდა ავთანდილის ქალალდებ-  
ში...

## რაფსოდია ტრომპონისათვის

საშინელმა და უჩვეულო ხმამ ადრიანი დილის სუფთა ჰაერი გახლიჩა და მთელი სახლი ფეხზე დააყენა. შეძრ-ნუნებული მოქალაქეები სასწრაფოდ შეგროვდნენ ეზოში, რკინის უზარმაზარ სანაგვე ყუთთან, რომელიც შვიდი წლის წინათ გაუქმდა და ახლა მერხის მოვალეობას ას-რულებდა. ატყდა კამათი იმის შესახებ, თუ ვისი ოთახი-დან შეიძლებოდა ასეთი უცნაური ხმა გამოსულიყო.

პენსიონერმა საშა გალოგრემ, რომელიც ასეთ შემთხ-ვევებში აზრის პირველად გამოთქმის პრიორიტეტს მუ-დამ თვითონ იკუთვნებდა, გამორიცხვის წესით დაიწყო ჭეშმარიტების დადგენა:

– შეიძლება თუ არა დამნაშავე ვეძიოთ აქ წარმოდ-გენილ ამხანაგებში?

– არ შეიძლება!

– კეთილი. არის თუ არა ჩვენს შორის მოქალაქე არტაშ აივაზაშვილი? – ეს შეკითხვა პირველზე უფრო გამომწვევ ტონში იყო დასმული.

– აბანოშია! – თქვა ვიღაცამ.

– ჰმ, აბანოში?! თქვენ ცდებით, იგი სახლშია! – განაცხადა საშამ და არტაშას ოთახისაკენ ტრიუმფალური ნაბიჯებით გაემართა. კარებთან დაიხარა და ჭუჭრუტა-ნაში ნეკი შეჰყო. მერე საზოგადოებას მიუბრუნდა:

– მობრძანდით და ნახეთ, თუ არ გჯერათ, გასაღები შიგნიდანაა გაყრილი.

რამდენიმე „ურწმუნო თომამ“ საშას ნათქვამი საკუ-თარი ექსპერიმენტებით დაადასტურა.

ცოტა ხანი მიაყურეს. ოთახიდან ჩამი-ჩუმი არ ისმოდა. საშამ ისევ ითხოვა ყურადღება და ახლა იმის გამორკვე-

ვას შეუდგა, თუ ამჯერად რა ოინს მიმართა უწყინარი მეზობლების შესავიწროვებლად და სულის ამოსახდელად მსგავს საქციელში არაერთხელ შენიშნულმა არტაშამ.

– ნამდვილად ვირი ყავს მოყვანილი და იმას აყროყინებს! – თქვა ექიმმა ჭუბაპრიამ.

– მართალს ბრძანებთ, ბატონო არისტოკლე. ამ სამი დღის წინ იყო სწორედ კახეთში, ექსკურსიაზე და იქიდან ჩამოიყვანდა. ამბობენ, იქ ვირი 7 მანეთზე მეტი არ ღირსო! – გაამყარა ექიმის დებულება კრიმინალისტმა დოჭვირმა და მოხურულ პიჯაკში მარტო მარცხენა ხელი გაუყარა, მარჯვენა კი საქმეში აქტიური ჩარევისთვის თავისუფლად დაიტოვა...

პენსიონერმა გალოგრემ კარზე დააკაკუნა. მოქალაქენი გაისუსნენ.

– და!.. – მოისმა შიგნიდან.

საშა ცოტა ხანს შეყოვნდა, სათქმელი მოისაზრა და მერე ერთბაშად შეხსნა კარები.

ოცდაათმა წყვილმა თვალმა არტაშას ხელში უცნაური, ოქროსფრად მობრჭყვიალე ნივთი შენიშნა. იგი სულაც არ გავდა ვირს. არტაშა მას ტუჩებთან მიიტანდა, ხელით საეჭვო უესტს აკეთებდა და ნივთი სწორედ ამ დროს გამოსცემდა ვირის ყროყინზე გაცილებით საზარელ ხმას, რაც უფროსების უკან მდგომი მრავალრიცხოვანი წვრილფეხობის გულწრფელ აღტაცებას იწვევდა.

დაბნეულმა საშამ dლივს მოახერხა:

– ესე იგი... რას შვრებით, მოქალაქე აივაზაშვილო?

– ზანიმაიუს! – იყო მოკლე პასუხი.

– ?!

– ...მაგრამ ეს რა არის, არტაშა?

– ეს ტრამბონი არის!

რა ეთქმოდათ. დაიშალნენ. მაგრამ ამ დღის შემდეგ ეზომ მოსვენება დაკარგა. დილა-უთენია იწყებოდა საშინელი ბერების შემოტევა, ეს „სიამოვნება“ 10 საათამდე გრძელდებოდა. 10 საათიდან 6 საათამდე ისევ მოდიოდა ყურთასმენა (არტაშა სასწავლებელში მიდიოდა), 6-დან 12-მდე კი კვლავ ტრომბონი ამბობდა თავის სიტყვას.

მეზობლების ერთადერთი საზრუნავი ახლა ის იყო, რომ მათ სმენას ღამის 12 საათის შემდეგ ტრომბონის თუნდაც ერთი ბერა დაეჭირათ ჩივილის საბაბად, მაგრამ არტაშა ზუსტად 12 საათზე წყვეტდა მეცადინეობას.

მოთმინების ძაფი გაწყდა და ერთ მშვენიერ ღამეს მეზობლები აშკარა პროვოკაციაზე წავიდნენ. მათ სპეციალურად დაათვრეს კრიმინალისტი დოქვირი და ღამის 12 საათზე, როცა ტრომბონი „სასიამოვნო გალობას“ მორჩა, არტაშასთან შეგზავნეს.

არტაშა სტუმარს ცივად შეხვდა. დოქვირმა მეზობლების გამოტანებული „რომისებური“ გახსნა და მასპინძელს შესთავაზა. არტაშამ სასტიკი უარი განაცხადა – ხვალ ადრე ვარ ასადგომი, უკვე თხზვაზე გადავედი, ვწერ „რაფსოდიას ტრომბონისთვის“ და ვერ დავლევო.

მეზობელმა „კომპოზიტორს“ არ აწყენინა და ბოთლი თვითონ გამოსცალა. მერე ეხვენა: კრიმინალისტი კაცი ვარ, თითების ანაბეჭდით გაგიგებ, ვინ კიდებს შენს გარდა შენ ტრომბონს ხელსო (არტაშას კარის საკეტი მოშლილი იყო და მეზობლები სურვილისამებრ ათვალიერებდნენ ხოლმე უცნაურ ნივთს), მაგრამ არტაშამ დაამშვიდა, – სანამ ცოცხალი ვარ, ჩემი ტრომბონი ხელში არავის ჩაუვარდებაო.



ბოლოს დოჭვირს გაახსენდა, რა განზრახვითაც იყო  
მოსული „კომპოზიტორისას“ და უეცრად დაჟინებით  
მოსთხოვა – დაუკარიო.

„პოსლე დვენადცაწი პრავა ნე იმეიუო“, – უპასუხა  
არტაშამ. დაუკარი, თორემ მე შენ გიჩვენებ პრავასო –  
დაემუქრა კრიმინალისტი.

...ჩხუბი ხელჩართულში გადავიდა და ამას კი ის მოყ-  
ვა, რომ კრიმინალისტს მეორე დილით მიღიციაში გამო-  
ელვიძა.

ერთი კვირის შემდეგ დოჭვირი მართლმსაჯულების წინაშე ფიციოტ იჭაჭებოდა და მეზობლებს იმოწმებდა, – ფეხიც არ შემიღვამს ჩემს სიცოცხლეში არტაშას ოთახში და მითუმეტეს მის ტრომბონთან რა მესაქმებოდაო, მაგრამ იქვე იდო ნივთმტკიცება – დაზიანებული ინსტრუმენტი და კრიმინალისტური ექსპერტიზის დასკვნა იმის შესახებ, რომ ტრომბონზე დატოვებული თითების ანაბეჭდი ზუსტად დოჭვირის თითებისას ემთხვეოდა.

რა გაეწყობა? დოჭვირის გარდა ამ ქვეყნად სხვაც ხომ იყო კრიმინალისტი!

## გაიქაცი საირმეში

„....დიახ, ძალიან ბევრი ადამიანია მისგან დავალებული სიცოცხლით, იგი ხომ ქვეყნად ყველაზე კეთილშობილური პროფესიის წარმომადგენელია! ვინ იცის, რამდენი ლამე უთევია ავადმყოფის საწოლთან და კვლავაც ფხიზლად დგას იგი ადამიანის ჯანმრთელობის სადარაჯოზე“, – დავასრულე მე მედიცინის მუშაკის დღისადმი მიძღვნილი ნარკვევის წერა და კმაყოფილმა საწოლს მივაშურე.

ჯერ იმაზე ფიქრიც კი არ მქონდა დაწყებული, თუ რა დაძმარებული სახით დაითვლიდა პასუხისმგებელი მდივანი ჩემი საკმაოდ ვრცელი ნარკვევის სტრიქონებს, რომ... მუცლის არეში საშინელი ტკივილი ვიგრძენი. რაღაცამ კითხვისნიშანივით მომგრიხა და ისეთი არაადამიანური ხმით დავიბლავლე – მოვკვდი-მეთქი, რომ ბურანში მყოფი ცოლი ანგარიშმიუცემლად ეცა კარადას და ყოველი შემთხვევისათვის ზენარი მოიმარაგა.

– სანამ მართლა არ მოვმკვდარვარ, გამოუძახე, ქალო, სასწრაფოს და ზენარი მერე გადამაფარე, ფეხებს რომ გავჭიმავ!

...ორი საათის შემდეგ, როცა საბოლოოდ დავრჩიმუნდი ცხონებული ბებიაჩემის სიტყვების სიმართლეში იმის თაობაზე, რომ ადამიანი ძალლია და სანამ სიკვდილის დრო არ მოვა, მანამდი თავში ქვა რო ურტყა, მაინც არ მოკვდება – ზარიც დარეკეს. კარებში უზარმაზარი, თეთრხალათიანი კაცი შემოისვეტა აგრეთვე თეთრხალათიანი და წამლებისჩემოდნიანი ქალის თანხლებით.

– გამარჯობათ თქვენი, რა გჭირს კაცო შენ? – შინაურულად და რაც შეიძლებოდა მხნედ მკითხა ექიმმა.

– ვკვდები, მიშველეთ რამე!

— ჯერ რავა მოკვდები, შე კაცო, ახალგაზრდა ჩანხარ, რა გჭირს თუ იცი?

— არ ვიცი, ექიმო!

— ისე, მაინც ეჭვი რაზე გაქვს?

— არაფერზე! ეგ, მე მგონი, თქვენ უნდა მითხრათ, რა მჭირს! — გავმწარდი მე.

— მე რა უნდა გითხრა, ჩემო ძმაო, გულთმისანი კი არა ვარ, სასწრაფო დახმარების ექიმი ვარ. შენი თავის ამბავი შენ უნდა იცოდე. არ იტყვი ახლა რა გტკივა?

— მუცელი!

— სად?

— აქ, — ვთქვი ტკივილისაგან დაოსებულმა და ხელით მარცხენა მხარეზე ვანიშნე.

— აუჟ, მაგი არ გეთქვა ახლა შენ და მოგეკალი! მართლა მაქეთ გტკივა, კაცო? კარგად დაუკვირდი, ეგებ მარჯვნივაც გტკივა, ა?

— არა, ბატონო, ნამდვილად აქ... ვაიმე!

— მარჯვნივ რომ ყოფილიყო, ბრმანაწლავი იქნებოდა და მაქეთ რა ეშმაკებია, რა ვიცი. თუმცა მოიცა, თიაქარი ხომ არ გქონია ოდესმე?

— არა, არასდროს!

ექიმი გამოუვალ მდგომარეობაში აღმოჩნდა, მაგრამ უეცრად ჩემს ცოლს რაღაც გაახსენდა:

— ექიმი! ამასწინათ ჩვენი თანამშრომელი დაეცა ქუჩაში გულშემოყრილი, იმასაც ასეთი მწვავე შეტევა ჰქონდა მუცლის არეში...

— მერე?

— მერე კენჭების გავლა აღმოაჩნდა მგონი...

— ოოჟ, აგაშენა ღმერთმა, ნამდვილად კენჭის გავლა აქვს ამასაც, — ამოისუნთქა ექიმმა, წნევა გამიზომა, კოფეინი გამიკეთა, დამიბარა, — თავისით თუ არ გაგიარა,

კიდო დაგვირეკეთ და საავადმყოფოში წაგიყვანთო და სასწრაფოდ გაიკეტა კარები...

სული კბილით მივიტანე სასწრაფო დახმარების მეორედ მოსვლამდე. ექიმმა – ამჯერად უკვე ქალმა, გასინჯვის შემდეგ გაკვირვებით აიჩეჩა მხრები და შევატყე, დიდი–დიდი, რის გაკეთებაც მას შეეძლო, ეს იყო ჩემი საავადმყოფოში გადაყვანა. ცოდვას ვერ ვიტყვი, არ დაუმადლებია.

ცოცხალ–მკვდარი შემიტანეს მორიგე ქირურგის კაბინეტში. ამ უკანასკნელმა გასინჯვის შემდეგ ჩემი ცოლის ვერსია დაადასტურა და ბრძანა პალატაში ავეყვანეთ. აქამდე თურმე სად ვიყავი, ანი იწყებოდა, თუ იწყებოდა ჩემი ტანჯვა.

ჩემი პირადი ექიმი შიო ყირმელაშვილი შესანიშნავი პიროვნება აღმოჩნდა, მართალია, ანალიზების აღებამდე, რასაც 3 დღე მოუნდა, მკურნალობა არ დაუნიშნავს და წამალიც არაფერი მოუცია, გარდა ტკივილის გამაყუჩებელი ნარკოტიკული საშუალებებისა, მაგრამ სამაგიეროდ, კეთილ სიტყვას არასდროს მამადლიდა და მებოდიშებოდა კიდეც: რა ვქნა, ჩემო ძმაო, უროლოგი არ გვყავს საავადმყოფოში და რა ჩემი ბრალია, მე ერთი ქირურგი კაცი ვარ, თუ დანაზე მიდგა საქმე, ჩემი თავი შენ გენაცვალოსო.

სამი დღე და ღამე მხრავდა და მტკვირავდა ტკივილი და ბოლოს, როცა ყოველგვარი მოთმინება გამომელია და ხსნის იოტისოდენა იმედიც არსად ჩანდა, ცოლს ვთხოვე, მეგობარი უროლოგისთვის დაერეკა და ეთხოვა ჩემს სანახავად მოსულიყო.

შალვა მართლაც იმავე სალამოს მოვიდა, ყურადღებით გამსინჯა, დიაგნოზი დამისვა და წამლებს ერთ საათში გამოგიგზავნიო – დამაიმედა. წასვლისას ყოველი

შემთხვევისათვის ჰქონდეთ ავადმყოფის საწოლ-თან მოფუსფუსე მკურნალ ექიმს, – თქვენი აზრით, სხვა რამეზე ხომ არ უნდა ვიქონიოთ ეჭვიო.

– რა ვიცი, თუ ძმა ხარ, ჩვენი პროფესია კი იცი შენ როგორიცაა. დღეს დასვამ დიაგნოზს და იტყვი – ამ კაცს ეს ჭირსო, გაიხედავ და ეს კაცი სხვა ავადმყოფობით კვდება. რას გაიგებ?! ისე, ძმობას გაფიცებ, ჩამანერიე ერთი მაგ კენჭის საწინააღმდეგო წამლები, რა იცი, კაცს კიდე რა დროს დაგჭირდება...

ხუთ წუთში შემობრუნდა შიო ყირმელაშვილი და რე-ცეპტის ქალალდი ამითრიალა ცხვირწინ.

– ა, ჩემო ძმაო, ა, აქ წერია რა წამლებიც უნდა მიიღო. ახლა რომ აქ კაცი იყო, მეცნიერმუშაკია, უროლოგის საკვლევ ინსტიტუტში მუშაობს, შენთვის გამოვაძახებიე სპეციალურად. ჰოდა, ეს წამლებიც იმან გამოწერა. ახლა მოვატანინებ, დაგალევინებთ და ორ საათში ჩიტივით იქნები. მერე ბიულეტენს გამოგიწერ და გაიქეცი პირდა-პირ საირმეში! ერთი ათი დღე სვი იქაური წყალი და მეტი არ გინდა, ხვალვე წადი, თუმცა... ახლა ზამთარია და მანქანა თუ ავა, არ ვიცი, მარა მაინც წადი, თუ არა კიდევ აქ მოგიწევს მოსვლა!

მე პირდალებული ვუსმენდი ამ „ჩემთვის მზრუნველ“ და „ჩემზე გადაგებულ“ მკურნალს და ხმის ამოღების თავი რომ მქონოდა, ვიყვირებდი:

– წავალ პატივცემულო ექიმო, საირმეში, დღესვე წავალ, ახლავე წავალ, მანქანა რად მინდა, ფეხით რომ ავირბინო ის მთა, მაინც წავალ, ოღონდ... ოღონდ თქვენ-თან არ მომიწიოს ისევ მოსვლა და საირმე რაა, თუ გინდა ცხრა მთას იქით გადავიკარგები!

## ჯადო

იგი უხსოვარი დროიდან არსებობს ქვეყანაზე. ჰოდა, რაკი არსებობს, მოქმედებს კიდეც. ჯადოს შეუძლია კაცს ცხრა წილი ღონე მოუმატოს, მზეთუნახავი კუდიანად აქციოს, მზაკვარი ტაბაკონის მთაზე უფრთოდ გადააფრინოს, ქალს ვაჟი შეაყვაროს, ან შეაძულოს და კიდევ, ჯადოს შეუძლია... ახალთახალი პიჯაკი იატაკის საწმენდ ჩვრად აქციოს.

არა, არ გეგონოთ ზღაპრის მოყოლას ვაპირებდე. პირიქით, ის, რასაც გიამბობთ, იმდენად ნამდვილი ამბავია, რომ კაცს შეიძლება ზღაპარიც ეგონოს.

უყელაფერი კი დაიწყო იქიდან, რომ კუკურას თათალა არ უყვარდა. რატომ არ უყვარდა? ძნელი სათქმელია. არ უყვარდა და მორჩა. სამაგიეროდ, თათალას უყვარდა კუკურა. უყურა, უყურა, მაგრამ როცა დარწმუნდა, ამ უკანასკნელის გრძნობებს თათალასათვის საიმედო პირი არ უჩინდა, გადაწყვიტა ჯადოსთვის მიემართა. მაგრამ ჯადოსთვის როგორ მიემართა, თუ ჯერ მკითხავ მართას არ მიმართავდა...

— ჯადო ეგეთი ვიცი, შვილო, რომა უფეხოს ფეხიანად მააჩვენებს კაცსა, გონჯს მზეთუნახავადა, შავს თეთრადა, თეთრს კიდევ შავადა, მააშ! თუ არა გჯერა, ჩემს კაცს დაუძახო და ვამბობინო, თუ როგორ შემირთო, გინდა? ნასყიდ, კაცო, არ გეყურება, გამო ერთი და უამბე თათალასა მე რო ჯადო გიყავ! — გასძახა მართამ მეორე ოთახში თავის ქმარსა და თათალას გამომცდელად მიაშტერდა. თათალას ისედაც ყველაფერი სჯეროდა, მაგრამ მაინც კარებს მიაცივა მზერა, აბა ერთი ნასყიდა რეებს იტყვისო.

– ჯადო მიყო, მა რა დოზანა მიყო, თორემა ე მაგ კრუხი პალოსა მახარაანთ კერას მივუსვამდი? – მოისმა მეორე ოთახიდან და თათალასაც მეტი ალარ უნდოდა, მართას ორი თითით კისერი გამოუწია და შეევედრა, – ოღონდ ე მაგ ჯადო გამიკეთე კუკურასთვინა და სამაგი-ერო პატივისცემა ჩემზედ იყოსო.

– პატივისცემა – პატივისცემად, შენ კი მგლი ქონი მიშოვე და ისეთი ჯადო გაგიკეთო, რომა შენ გარბოდე და ეგ ბიჭი კიდე შენს ნაკვალევს დასდევდეს.

– ვაიმე ქა, მგლი ქონი სადღა უნდა ვიშოვო, ჰა? – საგონებელში ჩავარდა თათალა.

– იიი, მგლი ქონი მეტი რა ექნება შავბალახაანთ ფი-დოსა, მა სანადიროდ ყოველ დილა – სისხამზე ტყუილუ-ბრალოდ დაეხეტება? ამასწინეებზეც იმოტოლა მგელი ჩამოუთრევია ზურგით, ბავშვები სუ სტვენაყიუინით უკან ასდევნებიან და სახლამდე ასე მიუცილებიათ, მააშ!..

შავბალახაანთ ფიდომ თათალას გასაჭირი რომ მო-ისმინა, თავი მოიქექა, იფიქრა, იფიქრა და, რაც გენებოს მთხოვე!

– ბევრი არაფერი მინდა: ერთი ხელადა ღვინო და ერთიც თოხლიი; ხომ იცი, მგელს უყვარს, თორემა, მე რა თავში ვიხლი.

– მაშ მგელს ღვინოც ყვარებია?

– ხი-ხი-ხი, თოხლი – მგელსა, ღვინო კიდენა – მგლი მკვლელსააა.

– ააა! – როგორც იყო მიხვდა თათალა, – მაშ ეხლავე მოგირბენიებ ამეებს, შენ ოღონდ ეგ საქმე გამიკეთე და...

მეორე დილით, უთენია ვაზის ფოთოლში გახვეულ მგლის ქონს თათალა მართას სახლისკენ მიარბენინებდა. თან ყურდაცქვეტილი და თვალებგაფართოებული აქეთიქით იყურებოდა და შიშობდა, გზად არავის გადაფეთებოდა, თორემ მართამ ხომ გააფრთხილა, – თუ ადამიანიშვილს შენთვის გზაში თვალი დაუკრავს, ჯადო ძალას დაჰკრავსო.

მადლობა ღმერთს, მთელ გზაზე პაპა იმედოს ქეციანი ძალლის მეტს არავის გადაჰყრია.

- აჲა, ძალუა მართა, მოგიტანე და ანი შენ იცი!
- ჰომოდე. შენ ეს მითხარი, გოგო, ხო არავის უნახავხარ, ჲა?
- არა!
- მაშ კარგი. საღამოზე მომაკითხე და ჯადოსაც გაგატან!

ის დღეც მიიწურა... მართამ რაღაც მაღამოსავით მასა გაზეთში გაუხვია თათალას, დაარიგა როგორ უნდა მოქცეულიყო, ასიგნაციების საკმაოდ სქელი დასტა სერვანტის უჯრაში შეაგდო და მადლიერი კლიენტი წამლიანად შინ გაისტუმრა. წინკარში გასულს ერთხელ კიდევ გასძახა, – თითონ არაფერს მიხვდეს, თორემ საქმე ჩაგეფუშებაო და შინ შებრუნდა. ის კვირა ისე გათავდა, იმ სოფელში არც არავინ მომკვდარა, არც არავინ დაქორწინებულა, ბავშვი რაა, ისიც კი არავის მოუნათლავს, რომ ან ჭირის, ან ლხინის სუფრაზე თათალა კუკურას გვერდით მოხვედრილიყო.

ერთადერთი იმედი ასულდგმულებდა უიმედოდ შეყვარებულს: ის ავყია და ენამწარე ბებერი, – სოფელი ზედმეტსახელად გველგესლას რომ ეძახდა, უკვე ერთი თვე იყო, რაც სულზე იდო, მაგრამ ეხლა, თითქო თათალას

ჯიბრზე, ისიც აგვიანებდა იმქვეყნად გამგზავრებას.

მაგრამ ბოლოსდაბოლოს გველგესლა ცას ხომ არ გამოეკვრებოდა და ნანატრი დღეც დადგა... კუკურა ჭირის სუფრას ხელმძღვანელობდა, თათალა კიდე კუკურას გვერდზე იჯდა და როცა ღვინომორეულ თამადას ცრემლები მოერეოდა და გული უჩუყდებოდა, თათალა მას მხარზე ხელის გადასმით ამშვიდებდა. კუკურას კარგა ხანია შემჩნეული ჰქონდა, რომ ქალი მისდამი ზედმეტ ყურადღებას იჩენდა და ამიტომ მისგან ეს ჟესტიც არ გაჰქვირვებია. რას მოიფიქრებდა საწყალი კუკურა, თუ ქალის ყოველ ხელის გადასმას მისი ახალთახალი, საგანგებოდ ქალაქში შეკერილი პიჯაკი ეწირებოდა... ჰოდა, როცა მეორე დღეს მუქი ფერის პიჯაკზე ქონის უზარმაზარი თეთრი ლაქა ნახა, რომელსაც ქიმწმენდა ვერაფერს უშველიდა, ყველაფერს მიხვდა, მაგრამ უკვე გვიანი იყო. გაბოროტებული კუკურა პიჯაკის ფრიალითა და ღრიალით თათალას სახლისკენ გავარდა. თან ათასგვარ საგინებელ სიტყვებს იძახდა და თვალებიდან ნაპერწკლებს აფრქვევდა, მაგრამ თათალას ორი თავი ქონდა, ასეთ მდგომარეობაში მყოფ კუკურას დანახვებოდა?! სასწრაფოდ შინ შევარდა. კარები ურდულით ჩარაზა და შიშისაგან კბილს კბილზე აცემინებდა.

— გეყურებათ, ხალხნო? მიხსენით ამ დედაკაცისაგან, ერთი ამას უცქირეთ რა მიყო, იმდენი ფული კასტუმში ჩამიყრია, მამამისის ვენახიდან კი არა მქონია მოკრეფილი... მოვკლავ, სუ ერთია მოვკლავ!..

კარგა ხანს ბობოქრობდა და ილანძღებოდა კუკურა, მაგრამ ხალხი დიდიან-პატარიანად ვენახში იყო გაკრეფილი და არავინ გამოპასუხებია, გარდა პაპა იმედოს ქეციანი ძალლისა. ცოტა ხნის მერე ძალლის განწირული



წერილი გაისმა. კუკურამ ერთხელ კიდევ შეიგინა, პიჯაკს დახედა და ჩაილაპარაკა: დავუშვათ, მოვკალი, მერე ამას რა, ეეჲ! – ჩაიქნია ხელი და თავქვე დაუყვა დაღმართს.

ოთახში ჩაკეტილი თათალა კი ნაღვლიან ფიქრებს მისცემოდა. რატომ არ გასჭრა ნეტა ჯადომ, ჰა? უნდა წავიდე ერთი მართასთანა და ვკითხო...

— რა ჩემი ბრალია, გენაცვა, მე ხელობა არ დამიკლია, განა პირველი იყო? აბა კითხე ქალებსა, განა ქიბრონანთ ფეფო, სამჭკუანთ თებრონე, მაძლარაანთ მაგდანა, საძა-გლიანთ ბაბო მე არ დავათხოვე? ი მეხდასაცემ ფიდოსა ალბათ მგლი ქონი არ მოუცია, მოუტყუებიხარ და რა ჩემი ბრალია, — თავს იმართლებდა მართა, — აკი იმწუთ-შივე ვთქვი, როგორც გავხსენი: რა ვქნა, ღმერთო, ე თხი ქონი სუნი საიდან მამდის-მეთქი. ი ყიამყრალ ფიდოს მოუტყუებიხარ, თორე მე ხო შაგპირდი, ისეთ ჯადოს გაგიკეთებ, სუ უკან დაგდევდეს ი შენი კუკურა-მეთქი. მე სიტყვის დედაკაცი ვარ, მააშ!

შედავება ძნელი იყო და არც თათალა ცდილა ამას.

„ნამდვილად თხისა მომცა ი არდასარჩენმა ფიდომა და ჯადომაც იმითვინ არ იმოქმედა, ახლა რაღა ვქნა, ნეტა სად ვიშოვნო ნამდვილი მგლი ქონი, ჰა?“ — ნაღვლი-ანად დუდუნებდა თავისთვის შინ მიმავალი თათალა.

## ლვინო, მთავრე და სირიუსის ვარსკვლავი

ვოლდემარს გატეხილი ფანჯრიდან შეაჭყიტა მზემ და გამოაღვიძა. მისი ოთახი არაფრით განსხვავდებოდა რიგითი სტუდენტის ოთახისაგან. მის ავეჯს ორი სანტიმეტრის სისქის მტვერი ედო და კუთხეებში მიყრილ ნაგავში გამოირჩეოდა „საეროს“, „სტოლიჩნისა“ და სამვარსკვლავიანი კონიაკის რამდენიმე ცარიელი ბოთლი. ოთახი საკმაოდ უბადრუკად გამოიყურებოდა, მაგრამ ვოლდემარმა მაინც გაიფიქრა, რომ ცხოვრება თურმეარც ისე ცუდად ყოფილა მოწყობილი, როგორც ჰერნია ზოგიერთს და როგორც ეგონა მასაც, მარიეტასთან უკანასკნელ შეხვედრამდე. ეს შეხვედრა განსაკუთრებით იმედისმომცემი იყო, მანამდე კი...

ორი კვირის წინ გაიცნო მარიეტა თანაჯგუფელი გოგონას დაბადების დღეზე, სადაც ვოლდემარი დაუპატიჟებლად მივიდა. დანარჩენები (ესე იგი დაპატიჟებული სტუმრები) გრძელ სადლეგრძელოებს ამბობდნენ და შეიკავეკვავდნენ. ვოლდემარი არაფერს ამბობდა, არ ცეკვავდა და ბევრ ღვინოს სვამდა. ბოლოს, როცა ყველაფერი აირია, ვოლდემარმა იკისრა თამადობა... ადლეგრძელა ოჯახის ფუძე, საძირკველი და „უკავალროდ“ დარჩენილი მარიეტა შერჩა ხელში გასაცილებლად...

ღვინომ, მთვარემ და სირიუსის ვარსკვლავმა, რომელიც გამომწვევად იცქირებოდა დანარჩენი ვარსკვლავებით მოჭედილი ციდან, ჩააგონეს ვოლდემარს, რომ მარიეტა უყვარდა და ყველაზე გასაოცარი ის იყო, რომ ამ ამამაღლებელი გრძნობის მიმართ მარიეტაც არ რჩებოდა გულგრილი...

ორი კვირა გრძელდებოდა ჩვეულებრივი პაემანები.

წუხელ კი მარიეტამ მორცხვად განუცხადა ვოლდემარს, რომ მისმა მშობლებმა ყველაფერი იციან და ვოლდემარიც ხვალ უნდა წარსდგეს მარიეტას მამასთან ოფიციალურ რანდევუზე...

ჩვეულებრივ, ოფიციალურ პირებთან შეხვედრა ვოლდემარს დიდ სიძნელედ არ მიაჩნდა, მაგრამ მარიეტას მამასთან პირისპირ შეყრა რატომლაც აშინებდა... აშინებდა იმიტომ, რომ გაგონილი ჰქონდა, ვაჟკაცი და ფულის მშოვნელი კაციაო. ვაჟკაცობა, რასაკვირველია, ვოლდემარსაც არ აკლდა, მაგრამ ფული კი... საკუთარი სტიპენდიაც არ გააჩნდა და, ამდენად, მარიეტას მამა რაღაც განსაკუთრებული შარავანდედით მოსილი ეჩვენებოდა.

ვოლდემარი ამ ვიზიტზე დიდ იმედებს ამყარებდა. თუ მარიეტას მამა კარგი თვალით გადმოხედავდა, შეიძლებოდა სამ დღეში ქორწილიც გადაეხადათ... შემდეგ ამ უბადრუკი ოთახიდან მარიეტას შესანიშნავ ბინაში გადავიდოდა... შემდეგ კი, ვინ იცის, იქნებ „ვოლგა“, ან უარეს შემთხვევაში ახალი „მოსკვიჩი“ მაინც ეყიდათ საყვარელი სიძისათვის...

კარი მარიეტამ გაუღო.

– მამა ცოტა ნასვამია და აბა შენ იცი!  
– მით უკეთესი, დარდი ნუ გაქვს! – გაამხნევა ვოლდემარმა ხვლიკისფერ, ფართო შარვალსა და სვიტრში გამოწყობილი, იისფრად თმაშელებილი სატრფო და ზომაზე მეტად ჩასუქებულ სასიმამროს მორცხვად წარუდგა წინ.

– რა გვარი ხარ, ბიჭო, შენ? – ღვინისა და არყის „სურნელი“ შეაფრქვია სასიმამრომ სასიძოს და რატომლაც, კაცს რომ კაცი არ მოეწონება, ისე ახედ-დახედა.

— ბურძგლა, ბატონი! — განსაკუთრებული ზრდილობიანი ღიმილით შეაგება ვოლდემარმა.

ჰმ!.. ბურძგლა... გვარი მაინცდამაინც ვერაფერი შვილი გქონია, მაგრამ ახლა მაგას მნიშვნელობა არა აქვს. გვარი რაც გინდა, ის გქონდეს, მაგრამ ახლანდელი ახალგაზრდები რომ ადამიანებად არ ვარგიხართ, მაგას არ უნდა ბევრი მტკიცება, ღვინის სმა თქვენ არ შეგიძლიათ, ვაჟკაცობა თქვენ არ გაქვთ და ზრდილობა...

— მ... მ.., მე, ბატონი!..

— ხმა! ეგლა მაკლია, შენ დამიწყო აქ ესო და ისო... მე რა, ახალგაზრდა არ ვიყავი? მე, შენი ხნისა, მთელი უბნის ბიჭებში პირველი ყოჩი ვიყავი. ერთხელ, ვერელებს დავუხვდით და ცემით დავხეთქეთ, მაგრამ დანა და ნაჯახი კი არ გვიხმარია, მარტო მუშტებით დავუსივეთ თავ-ყბა. შენ ვინ ხარ, შე ლანირაკო, ბევრს რომ ლაპარაკობ? შენი ხნისა რომ ვიყავი, სახლის სახურავზე დავრბოდი მე... რატომ დავრბოდი სახლის სახურავზე?

აქ კარგა ხანს იფიქრა, თუ რატომ დარბოდა სახლის სახურავზე, მაგრამ ვერ გაიხსენა, ხელი ჩაიქნია და განაგრძო, — ჴო, დავრბოდი, მორჩა და გათავდა! შენ კი....

— მე, ესე იგი მე და მარიეტას... — შეეცადა ვოლდემარი თავისთვის სასურველ კალაპოტში მოექცია საუბარი, მაგრამ სასიმამროს ღრიალმა განზრახვაზე ხელი ააღებინა:

— ვინ ხარ შენ და ვინ არის მარიეტა?! აქ მე ვარ, იცი თუ არა შენ? ვინ ვარ მე? შენ გგონია, უშრომლად მაქვს ეს ქონება? მე იმისათვის, რომ ფული ვიშოვო, რელსზე მაქვს თავი დადებული... შენ კი რის გამკეთებელი ხარ?

— მე სტუდენტი ვარ!

– მაგას არ გეკითხები, რა ხარ-მეთქი და რის მაქნისი ხარ?

– მე პატიოსანი ახალგაზრდა ვარ, არ ვჩხუბობ არც დანით, არც მუშტებით, სახურავებზე არ დავრბივარ, ტრავმაიდან არ ვხტები, თავი რელსზე არა მაქვს დადებული და, მაშასადამე, ფულსაც ვერ ვშოულობ...

აქ კი საშინელი რამ მოხდა – სასიმამროს ვეება მუშტმა მაგიდაზე მოადინა ბრაგვანი, მაგიდაზე მდგარმა ძვირფასმა ლარნაკმა კი – იატაკზე.

– ეს ინტრიგანი ვინ შემოათრია ჩემს ოჯახში?! – კი-ბეებზე ჩაესმა ვოლდემარს საშინელი ღრიალი.

სადარბაზოს კარებთან მარიეტას გაურკვეველი მისა-მართით ნათქვამიც წამოეწია: – უსინდისო, მხეცო!..

იგი მიდიოდა ჩქარი ნაბიჯებით და გრძნობდა, სას-ტუმრო „თბილისის“ ქვემოთ რომ სასაუზმეა – იქ ჩადიოდა. იმასაც გრძნობდა, რომ კიდევ ერთი იმედის მომცემი სიყვარული დაუბრუნებლად გამოეცალა ხელიდან.

– სალუტ, ვოლდემარ! – დახლთან ახლოსმდგომი მაგიდიდან ანთებული სახეები შემოანათეს სიყვარულის დამკარგველს...

დახლში კი ვეფხივით ტრიალებდა მებუფეტე დადაში და იესო ქრისტემ რომ გააკეთა ერთ დროს, დაახლოებით ისეთ სასწაულს „იმეორებდა“ – ნახევარი ლიტრა არყით ავსებდა ექვს, შვიდ და ზოგჯერ რვა ასგრამიან ჭიქასაც...

ღამის ორ საათზე ძლივს გააღო ვოლდემარმა თავისი ოთახის კარი. დილით დატოვებული არეული ოთახის დანახვისას კიდევ ერთხელ (და ალბათ უკანასკნელად) მოაგონდა მარიეტა, მამამისი, იმედები და... გული დაწყდა.

# საგაზითო ინფორმაციაზე

## მათაცი მონაბირე

სოფელ წეველიანის მეფურინველეობის ფერმას მელია შეეჩინა. გაავებული მხეცი არაფერს ერიდებოდა და ერთ თვეში ქათმების სულადობა გაანახევრა. სასონარკვეთილმა ფერმის გამგემ დახმარებისთვის მიმართა განთქმულ მონადირეს, სოფელ წეველიანში მცხოვრებ გერონტი მამალაძეს. გერონტიმ თან წაიყვანა სამი ბიძაშვილი: სერაპიონ მამალაძე, ლავროსი მამალაძე და ქოთილა ბუნტური, რომლებიც მზის ჩასვლისას მოხერხებულად ჩაუსაფრდნენ ნადირს ფერმის მახლობლად მდგომ თელაზე, – ერთი „ჰოლანდ-ჰოლანდით“, ერთი „ლებოთი“ და ორი „იუ“-ით. მონადირეები ფხიზლად ზვერავდნენ მიდამოს. ლოდინი დიდხანს არ დასჭირვებიათ. გამთენისას მელაც გამოჩნდა. იგი აინუნშიც არ აგდებდა თელაზე მოკალათებულ მონადირეებს და ურცხვად მიემართებოდა ფერმისაკენ. ის იყო მზაკვარი მელა ფერმის ჭიშკარში შესხლტომას აპირებდა, რომ, – ცეცხლიო, – დასჭექა გერონტიმ და ოთხმა თოფმა რვაჯერ დაიქუხა. ამასობაში ის ტოტი, რომელზეც გერონტი იჯდა, ჩატყდა და მონადირემ ფეხი იღრძო. გაალმასებული მხეცი კი ჯერ სიკვდილს არ აპირებდა. ხიფათი თითქმის გარდაუვალი იყო, მაგრამ მამაცი გერონტი, რომელსაც ტკივილების გამო თოფის დატენა არ შეეძლო, უნარიანად ხელმძღვანელობდა მონადირეთა ჯგუფს. კიდევ ექვსჯერ იქუხა სამმა თოფმა. ხმაურზე ფერმის მუშები გამოცვივდნენ და ხელკეტებით მოუღეს ბოლო დაჭრილ და გამხეცებულ ნადირს. როდესაც თოფის წამლის კვამლი გაიფან-

ტა, მკვდარი მელა და ფეხნალრძობი, მაგრამ ბედნიერი გერონტი ფერმაში შეათრიეს, სადაც მამაც მონადირეს პირველი დახმარება აღმოუჩინეს.

- მონადირეც ასეთი უნდაო – სიამაყით ამბობენ გერონტის შესახებ მადლიერი თანასოფლელები.



## ტრაქტორისტის გმირობა

კამეჩისფერი ლრუბლები და ზღვიდან მონაბერი სუსხიანი ქარი კარგს არაფერს უქადდა გვიანი შემოდგომის უკუნეთ ღამეს. აშკარა იყო, სულ რამდენიმე წუთში გაავდრდებოდა. სოფლის ორლობეში მიმავალ მოწინავე ტრაქტორისტს მამონტი ღაჭავას, რომელიც უკანასკნელი ყანნის დალევის შიშით სუფრიდან ადრე წამოვიდა, სიმღერის ხმა შემოესმა. მიუხედავად იმისა, რომ მამონტი ნასვამი იყო, მაინც მიხვდა, რომ ეს სიმღერა მთლად მხიარული კაცისას არ გავდა და იქითკენ გაეშურა, საიდანაც ხმა მოდიოდა. ამასობაში წვიმამაც წამოუშინა, მამონტი ღაჭავამ თხრილში ჩავარდნილი კაცი შენიშნა, დასახმარებლად დაიხარა, მაგრამ სველ მიწაზე ფეხი დაუსხლტა და ისიც თხრილში გადაეშვა. მიუხედავად იმისა, რომ მამონტის თვითონაც ძალიან უჭირდა, მაინც მოახერხა ხელი ჩაევლო განწირულისათვის. წვიმა კი გაძლიერდა. თხრილში წყალი სულ უფრო მატულობდა და მატულობდა. მამაცმა ტრაქტორისტმა ომახიანი ყვირილით მოახერხა მშველელის ხმობა. ეს არ გამოპარვიათ მეზობელ სახლში მცხოვრებ ბავშვებს – მე-7 კლასის ფრიადოსან მოსწავლეს – ველოდი არდაშელიას და მის უმცროს დას – მეგონას. ბავშვები თვალის დახამხამებაში გაჩნდნენ შემთხვევის ადგილზე; ისინი, მშობლების რეზინის ჩექმებში გამოწყობილნი, ტანზე გაუხდელად გადაეშვნენ თხრილში და რის ვაივაგლახით ნაპირზე ამოათრიეს სულ ერთიანად გალუმპული ტრაქტორისტი და უცნობი.

როგორც შემდეგ გამოირკვა – უცნობი ამ სოფლის კოლმეურნეობა „მარჯვენა ხელის“ აგრონომი პართენ ძიგუა ყოფილა, რომელიც სუფრიდან ტრაქტორისტზე

ერთი საათით ადრე გამოპარულიყო.

ასე იხსნა ადამიანის სიცოცხლე მოწინავე ტრაქტორისტი – მამონტი ღაფავას მოსაზრებულობამ.

### ჩემი წარსული იუმორის დასასრული

Г.2

899.962.1-7

გ.45

რედაქტორი **თ. სადრაძე**

ტექნიკური რედაქტორი **ნ. ობოლაძე**

მხატვრები: **გ. ფირცხალავა, ჯ. ლოლუა**

19 თბილისი 71

Рапсодия для Тромбона

Гвасалия Лали Игнатьевна

(Юмористические рассказы на грузинском языке)

## ეს პი – შეპირებული ვ თანამედროვე პაროდია!

### გროტესკული პაროდია

ვუძღვნი მადონა და დიმიტრი წიკლაურებს

„კბილის ტკივილი, კბილის ტკივილი...  
ძალლის ყმუილი, ტურის კივილი“,  
სამყარო მთელი – შენთვის წაშლილი,  
სუფრაც – ხორაგით მრავლით ავსილი,  
გული გამდნარი, – ბოლმით გავსილი,  
გამწარებული სული – გაცლილი  
სხეულს, და არა მასში თავსილი;  
გადაქცეული ბადაგი შხამად  
და ბადაგონი საძაგელ ძმარად...  
სულ ყველაფერი კბილზე კიდია,  
ტვინში რომ გირტყამს, ლოყაც გკიდია –  
გაწითლებული, გასივებული, იმ ხურჯინივით –  
ვირს რომ კიდია...  
მე იმის დედაც ვატირე მართლაც,  
გააყოყოჩებს რომელიც კბილებს,  
კბილი რომ თვითონ გიტირებს ახლა  
დედას, მამას და გისივებს ღრძილებს...  
არ მოინდომე სტომატოლოგი?!  
არც პროთეზისტთან გინდა ღიმილი? –  
ახია შენზე კბილის ტკივილი –  
ძალლის ყმუილი, ტურის კივილი!...

P.S. ყბაგასიებულებო!  
ესტუმრეთ ქალბატონ მადონას და  
ბატონ დიმიტრის!

## სარკასტული პაროდია

ძაღლიანსა და უძაღლო ყველა ომარს

ომარას ძაღლი სხვა ძაღლებს არ გავს,  
ომარას ძაღლი სახლიდან გაყავს,  
რაკილა გაყავს, – კიბეზე ჩაყავს,  
ვაკის პარკში და მრგვალ ბაღში დაყავს.  
ომარას ძაღლი სხვას მიტომ არ გავს –  
ძვლის ნაცვლად ჭიქით ცხელ ყავას ყლაპავს,  
თუ სხვა ნუგბარი ვეღარ იშოვა,  
„ბარამბოს“ ნუშის შოკოლადს დანთქავს...  
რომ დააპრუნებს ომარა ცხოველს,  
სახლისკენ ისევ იმ კიბით აყავს;  
მარტო კი არ სვამს არაყს და ღვინოს, –  
თავის ოთხფეხას ასმევს და ლანძღავს;  
მთვრალი ძაღლი კი – პატრონს რომ ვერ ცნობს,  
ჩაროზად იმის ბარკლის ხორცს დანთქავს...  
მეორე დილით, ნაბახუსევზე, –  
ომარას ძაღლი მიირთმევს ნაგავს...

ეეჟ!

ომარას ძაღლი არავის არ გავს,  
ომარას ძაღლი...  
საერთოდ არ ყავს!

## სარდონიკული პაროდია

ვარიაციები თემაზე ნოდარ დუმბაძის ლექსისა –  
„იყო და არა იყო რა, იყო პატარა ბიქტორა“

ჩემ ქალიშვილს – ჩიორა თაქთაქიშვილს

და მათ ყველას, ვისაც ჩემზე მეტად „უყვარს“ ჩემი შვილი,  
ვინც ვარდების რევოლუციის სამი კვირის მანძილზე „გულწრფე-  
ლად თანამიგრძნობდა“ კითხვებით: „ვისთან გაუშვი? რატომ  
გაუშვი? შანსი გაუშვი? სახლში მოუშვი? შენ სულ გარეუკე? შენ  
სულ აუშვი?!“

იყო და არა იყო რა, იყო პატარა ჩიორა  
და რომ იტყვიან გლეხურად, ცა თავზე ქუდად ეხურა.  
პირველად ცეკვა ასწავლეს, გამოიყვანეს სცენაზე,  
იტალიური ისწავლა, უკეთ მშობლიურ ენაზე.  
ფრანგულსაც დაეჯაჯგურა, სუყველა მტრების ჯინაზე  
და აუღურტულდა სულ რაღაც ოთხ თვეში ფრანგულ ენაზე!  
„ე, მასე, ჩიო, ე, მასე! მიდი, სუყველას ევასე!  
სხვა რამეებიც ისწავლე, მაგრად დადექი რწმენაზე!“  
იურისტად დაბადებულს, ბრძოლა მოუხდა გვემაზე –  
მისაღები გამოცდების უფულოდ ჩაბარებაზე.  
რადგან სხვას მისი ამხელა იმედი ჰქონდა რწმენაზე,  
როგორლა დათანხმდებოდა სხვების დაკრულზე ცეკვაზე?!  
რომ ამეტყველდა ლოგიკის და ლრმა აზრების ენაზე,  
თეთრმა მელიამ მგლის ხროვას მხარი აუბა ხვეტაზე:  
„ჩიტის აზრები რად გვინდა, – ცოდნით დამყნილი რწმენაზე?!

ჩიორას ჩვენ გადავყლაპავთ, სტომაქები გვაქვს ცვენაზე“...  
ყველა რომ ალაპარაკდა მუცელლმერთობის ენაზე  
და დანთქმა რომ მოუნდომეს ჩიორას მორიგ ლხენაზე,

ის თავის აზრზე რომ იდგა ამ და იმ – ყველა ენაზე,  
ყური არავინ ათხოვა, – მრუდ გზით დამდგარმა რბენაზე.  
„თავისუფლება პრესასო!“ – ჩიო გამოდგა შარაზე, –  
ძალიან გაგვინაწყენა „აკადემიკი“ ლარაძე, –  
„კმარა სოროსი, მაილსი, კმარა და კმარა „კმარაო“!  
მე წავალ პარლამენტიდან, არ დავბრუნდები, არაო!“  
რექტორ-პრორექტორს მესამემ, ფეხი აუწყო ბობლაძემ –  
თითს რომ გვიქნევდა 9 აპრილს, იმ საგანგებო სხდომაზე,  
მზად ყოფნა რომ განაცხადა რუსის პრძანებით ფორთხვაზე,  
საკუთარ ხალხს რომ კბილები დაუღრჯიალა სკდომაზე...  
სამივე გადადგ-გადმოდგა, ვერ შეაშინეს მგმობლები,  
წვეთებით გულს იბრუნებენ ქრთამის გამცემი მშობლები:  
„სააკაშვილი რომ მოვა, ის თვითონ გვეტყვის „კმარაო“,  
ჩვენ ამას ვეღარ გავუძლებთ, არა, არა და არაო,  
პრეზიდენტად რომ დაჯდება, თვითონ წამოვა რქენაზე –  
„ვირის აბანოს“ გვარგუნებს (არაცივილურ ენაზე)!“...  
„მასე, ჩიორა, ე, მასე! მაგრად იდექი რწმენაზე!  
ძაან მაგარი ვინმე ხარ, სუყველას მაგრა ევასე!“

P.S.<sup>(1)</sup> ჩიტო, ჩიტო ჩიორაო!  
რაო, ბატონო მელაო?  
კმარელები გადმომიგდე,  
თორემ შავ დღეს დაგაყენებ!  
ცულს მოვიტან ცუნცულასა,  
ხელეჩოს და წალდუნასა,  
ხესაც მოვჭრი, ხის ძირსაცა,  
შენც შეგჭამ და სხვის შვილთაცა!“

ჩიორა არ შეუშინდა, – ნაპარიზალ-ნარომალი,  
კმარელებიც მაგრად დგანან – ნამიტინგარ-ნაომარი.

ლექსიც შეთხზეს მარშისათვის ნასათუთარენოვანი, –  
აზრი ერთი რომ იყო და ხმები მრავალფეროვანი:

(„ჰუსეინ ბაბა, ჰუსეინ ბაბა, ნენეს უთხარი“-ს მელოდიაზე)!

ედო, ბაბუა, სტუდენტებს გვაქვს ჩვენი სათქმელი, –  
გამომზეურდა, გამომზეურდა შენი საქმენი!  
ჩვენ გავიმარჯვებთ, ამას არ უნდა „რიჟა ბაზარი“,  
დიდი, პატარა, ერი, ბერი ყველა აქ არი!  
ცრუ დაპირებით რომ გვახვევდი თევზის ბადეში,  
გადადექი და გაბუნძულდი ბადენ-ბადენში!  
(არ დაგავიწყდეს, სანამ წახვალ, ასლანს უთხარი,  
გამოიყოლოს წინდები და გრძელი ნიფხავი!).

ასაკისათვის შეუფერებლად ამჩატებული,  
მიტინგზე პლაკატით ხელში მდგარი,  
შაყირის გუნებაზე მომდგარი  
და „გვერდებამდგარი“ პროფესორი ქალი,  
ჩიოს დედა – ლალი გვასალია.

03.12.2003.

P.S.<sup>(2)</sup> მაინც, ყოველი შემთხვევისათვის გავიხსენოთ  
ესქპრეზიდენტის გამონათქვამი ვარდების რევოლუციის  
განხორციელებამდე:

„მანამდე არ აუდგეს გვერდები არავის, ვიდრე მე არ  
გადავდგე პრეზიდენტობიდან!“

## ლალის

(ბოლოთქმა ლექსად)

ვუძღვნი უკეთილშობილეს ადამიანს,  
კოლხ ქალბატონს, ქართველი ქალის  
განსახიერებას, პროფესორ  
ლალი გვასალია-თაქთაქიშვილს

ლალი, ლალზე ულალესო,  
ქმნილებაო უნაზესო,  
გონიერო უაღრესო,  
იუმიორით უმაღლესო!  
ჩემო დაო, ჩემო რძალო!  
გულით მინდა გითხრა ესო –  
სატირით და მახვილ სიტყვით  
დუმბაძეზე „უარესო“!  
შინ სათნოვ და გარეთ დინჯო,  
პროფესორო უნათლესო,  
ბოროტების წინააღმდეგ  
ხმალი გინდა მუდამ ლესო!  
უფლის ხელით ნაკურთხო და  
იშვიათო უმართლესო...  
სატივით რომ მამკობინე –  
დიდად გმადლობ, ჩემო ლექსო!

შენი მორაგბე მეუღლის ძმაკაცი,  
აგრეთვე მორაგბე (წარსულში!),  
სპორტის ოსტატი ამირან ლობჟანიძე

## შინაარსი

ავტორის წინათქმა	3
ამ წიგნის წამყითხველს	15
შიშის საზღაური	19
ჭკვიანური შეგონება	22
მეგობარო, მათხოვე ქალი!	25
როგორც წავა, ისე მოვა...	29
დაკარგული საბედო	32
ბენიამინო ჯილის დაღუპვა	39
არ არის სიმშვიდე ავთანდილის სახლში	44
რაფსოდია ტრომბონისათვის	50
გაიქეცი საირმეში	55
ჯადო	59
ღვინო, მთავრე და სირიუსის ვარსკვლავი	65
საგაზეთო ინფორმაციები	69
მამაცი მონადირე	69
ტრაქტორისტის გმირობა	71
ეს კი – შეპირებული 3 თანამედროვე პაროდია!	73
გროტესკული პაროდია	73
სარკასტული პაროდია	74
სარდონიკული პაროდია	75
ლალის	78

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის  
სტამბა

რუსთაველის გამზ. 52